„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ. № 44.

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 34. კვირა, 18 სექტემბერი 1905 წლისა. № 34

შინაარსი: ისტორიული მატრაკვეცები, ფ. მახარაძისა.—სხვა და სხვა ამბები.—დაბა სოფლის ამბები.—შინაური მიმოხილვა.—რუსეთის ჭრონიკა.—უცხოეთის ამბები.—მოკლე პასუხი ბ. გ. რ.—ს, კ. ემუხვარისა.—ხმა სატუსაღოდან, №-სა.—წერილები რედაქციის მიმართ. – ვ. მაღრ. ხსოვნას.

ისტორიული მატრაკვეცები

ერთ დროს დაუბოლოვებელი კამათი იყო გამართული იმის გამოსარკვევათ, თუ რა როლს თამაშობდა, ან რა გავლენას ახდენდა პიროვნება ისტორიაში. ამ კითხვასთან შეკავშირებული იყო გმირის და ბრბოს ურთიერთშორის დამოკიდებულება. ამტკიცებდენ, რომ ყველაფერი დამოკიდებულია კერძო პიროვნების მოქმედებაზე; რომ არიან ისეთი დიდბუნებოვანი ადამიანები, რომლებიც, საითაც უნდათ, იქითკენ მიმართავენ ბრბოს, რაც იმათ სურთ, იმას გააკეთებიებენ მას. ამიტომ ყველაფერი, თვით კაცობრიობის პროგრესსი, წინსვლა, დამოკიდებულია ასეთ პირების ნებაყოფლობაზე და სურვილზე. იყვენ ისეთი სოციოლოგ-ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ მთელი ისტორია, კაცობრიობის მთელი წარსული ცხოვრება, აიხსნება მხოლოთ ამ დიდბუნებოვან ადამიანების მოქმედებით, მათი სურვილით და მათი იდეალებით. ასეთი წარმოდგენა ქონდათ ისტორიაზე მაშინ, როცა კაცობრიობის ისტორია ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი ქვეყანა იყო, როცა ისტორიას ილოვაისკის მაგვს სახელმძღვანელოებიდან სწავლობდენ, ამ გვარ სახელმძღვანელოების წყალობით ხალხის ისტორია ეს მხოლოთ მეფეების, სარდლების და ომების ისტორია იყო. და აი აქ თქვენ წინ წარმოგიდგებოდენ ქსერქსები, კიროსები, კეისრები, კარლოსები, ნაპოლეონები, ირაკლიები და tutti quanti: თქვენ ხედავთ, რომ ესენი წყვეტდენ და განაგებდენ ხალხის ბედს, იმათგან გამოდიოდა კანონი, იმათ ნებაზე იყო ხალხის ამოქლეტა, იმათ ხელში იყო უთვალავი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლე; იმათგან იყო დამოკიდებული ხალხის აწმყო და მომავალი ცხოვრება. აი ასეთი წარმოდგენა იყო გავრცელებული ხალხის წარსულ ცხოვრებაზე. თანახმათ ასეთი შეხედულებისა, ყველა ეს ქსერქსები, ნაპოლეონები თუ კრომველები, თუმც მეტათ სასტიკი და შეუბრალებელი იყვენ, მაგრამ ისინი მაინც უბრალო მომაკვდავზე მაღლა იდგნენ, იმათ ოითქმის პატარა ღმერთებათ თვლიდენ. ერთი სიტყვით, ისინი ხალხის თვალში ნამდვილი კერპები იყვენ.

დიდი ხანია არაა მას აქეთ, რაც ასეთი შეხედულება ბატონობდა. მაგრამ ისტორიული ცხოვრების ღრმა შესწავლამ უარყო ასეთი შემცდარი შეხედულება ისტორიაზე, ყველა კერპები ძირს დაანარცხა. ისტორია არ არის ერთი და ორი პირის ნამოქმედარი, თუნდაც ეს პირები დიდ ბუნებოვანიც იყვენ. კაცობრიობის ისტორია ექვემდებარება თავის საკუთარ კანონებს. კერძო პირები, რაც უნდა დიდბუნებოვანი იყვენ ისინი ვერასოდეს ვერ შეცვლიან ამ კანონების მოქმედებას. პირიქით, თვით ეს პირები ისტორიული განვითარების მიერ არიან წარმოშობილი, და იმათ თვით საზოგადოებრივი პირობები უმზადებენ ნიადაგს მოქმედებისათვის. და აი როცა ნიადაგი მომზადებულია, როცა საზოგადოებრივი პირობები იმდენათ მომწიფებულია, რომ მაშინ საჭირო ხდება ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამა თუ იმ კანონის გამოცემა, ამა თუ იმ ზომის მიღება, მაშინ საზოგადო ასპარეზზე ჩნდება ესა თუ ის პირი, როგორც საზოგადოების, ანუ ხალხის სურვილის, მისი საჭიროების აღმასრულებელი, ანუ გამომხატველი. ასეთი პირი აუცილებლათ უნდა გამოჩნდეს, სულ ერთია პეტრე ერქვა მას თუ ივანე, ნაპოლეონი თუ კეისარი. მაგრამ გარეგნობით ეს სულ სხვა სახეს ღებულობს. ჯერ ერთი ისა, რომ თვით ხალხი მეტათ გამოუთქველი მოწიწებით და მორიდებით ექცევა ასეთ პირებს, და მეორეც ისა, რომ ამ პირებს, სხვანარი წარმოდგენა ებადება თავის თავზე. იმათი აზრით ისინი უბრალო მომაკვდავები კი არ არიან, იმათ წინაშე ყველა მუხლს უნდა იდრეკდეს; იმათთან შედარებით ყველა დაბალი და ულირსია. ხალხში ვრცელდება ისეთი აზრი, რომ იმათ ბრძანებას წინ ვერავინ გადაუდგება, რომ იმათ სიკვდილ-სიცოცხლის უფლება უპყრიათ ხელში. ამნაირათ ისინი ხდებიან პატარა მიწიერ ღმერთებათ, ანუ კერპებათ და ჩვეულებრივ ისეთ როლს, აწერენ თავის თავს ისეთ თვისებებს, რომლებიც მათ არა აქვთ. ასეთი წარმოდგენა დიდ ხანს იყო გავრცელებული საზოგადოებაში და შემდეგ იგი ლიტერატურაშიაც ბატონობდა. მაგრამ როგორც ზევით შევნიშნეთ, ასეთი შეხედულება სამუდამოთ შეირყა. დღემდის პატარა ღმერთებათ მიჩნეული პირების, ე. ი. კეისრების, კარლოსების, ნაპოლეონების და სხვების ცხოვრება ვერავითარ ნათელს ვერ მოფენს კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ პირიქით თვით კაცობრიობის ისტორიის შესწავლა კი ნათელს ფენს ამათ მოქმედებას. და აი აქ ჩვენ წინ გადაგვეშლება ისტორიულ მატრაკვეცთა მოქმედება. ისინი, ვინც მართლა ქმნიდა ისტორიას, ე. ი. ხალხი უკან დგანან, ხმას არ იღებენ, და ისინი კი, ვინც მხოლოთ ხალხის სურვილს ასრულებდა, მას ასე თუ ისე აკმაყოფილებდა, პირველ წყებაზე არიან გამოჭამული და სხვის ნამოქმედარს თითონ ითვისებენ. მაგრამ ასეთი მატრაკვეცები დღესაც მრავალია.

საზოგადოების რა სფერაშიაც არ გაიხედავთ, ყოველგან შეხვდებით მატრაკვეცებს. მართალია კეისრებს, კრომველებს და ნაპოლეონებს აქ თქვენ ვერ აღმოაჩენთ, რადგანაც ამათი დრო უკვე სამუდამოთ წავიდა; ახლანდელი მატრაკვეცებს ისეთი ფართო ასპარეზი როდი აქვთ სამოქმედოთ, როგორც წინა დროების მატრაკვეცებს; გარდა ამისა იმათი დიდბუნებოვანებაც აღარავის წამს. სამაგიეროთ მატრაკვეცების რიცხვი დღეს შედარებით ძლიერ დიდია. სადაც გამაკლობა აქვთ,

იქ ისინი ძალით მოქმედებენ, სადაც ძალა არ შეწევთ, იქ კი სხვანაირ საშუალებას ხმარობენ. ყველა მატრაკვეცის მიზანი ის არის, რომ თავის სასარგებლოთ ხალხზე გავლენა მოიპოვოს. და აი ამისთვის იგი უპირველესათ ყოვლისა იძენს ისეთ იარაღს ანუ პოლომბს ისეთ საშუალებას, რომელსაც ხალხის თვალში ყველაზე უფრო დიდი ფასი აქვს. ასეთ საშუალებათ ანუ იარაღათ ჩვენ დროში უეჭველათ სწავლის მიღება ითვლება, და უეჭველათ როცა დიპლომი გაქვს მიღებული. კიდევ უფრო დიდი ფასი ემატება თუ იგი საზღვარ გარეთ გაქვს მიღებული. მოგეხსენებათ, საზღვარგარეთს როგორი პატივი აქვს ჩვენი ხალხის თვალში. თუ იქაური დიპლომიც გაქვს, მაშინ შენ სწავლასაც მეტი ფასი აქვს, მაშინ შენც მეტ პატივს დაიმსახურებ. მე არ ვამბობ იმ ბედნიერ შემთხვევაზე, როცა შენ რაიმე სამეცნიერო ხარისხი, თუნდ, მაგ. დოქტორობის ხარისხი გაქვს მიღებული რომელსამე საკითხზე დისერტაციის დაწერისათვის, მაშინ ხომ შენ გზა ხსნილი გაქვს, მაშინ შენთვის ყოველგან კარი ღიაა, იმას ვინ კითხულობს, თუ რა ყრია შენ თავში, ან რა ღირსებისაა შენი სწავლა. შენ მხოლოთ ისღა გესმის, რომ ყოველი მხრიდან სალამს გაძლევენ და გიწოდებენ. მაგრამ თანამედროვე მატრაკვეცისათვის აუცილებლათ საჭიროა კიდევ ერთი რამ, სახელდობ ის, რომ იგი გარეგნობით მაინც აღიარებდეს დემოკრატიულ მიმართულებას, იგი თავის თავს უნდა სახავდეს ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა მოსარჩლეთ. და აი თანამედროვე მატრაკვეცი, ყველა ამით შეიარაღებული, გამოდის საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოთ. იგი ერევა საზოგადო საქმეებში საკუთარი ხელის მოსათბობათ, იგი მიდის ხალხში, არა შეგნების შესატანათ, არამედ ამ შეგნების გასაქრობათ. იგი ხმა მაღლა გაიძახის შრომელი ხალხის, მუშების კეთილ-დღეობაზე, მაგრამ მას თვინიერ საკუთარი კეთილ-დღეობისა, თვინიერი თავისი კერძო ინტერესებისა, სხვა არა წამს რა. იგი გამოდის სამწერლო ასპარეზზე; აქაც იგი, რასაკვირველია, პირველ ალაგს იჭერს, თითქო მწერლობის, პრესის სულის ჩამდგმელი, მისთვის თავდადებული ხდება. მაგრამ ეს მხოლოთ თვალთმაქცობაა: მისთვის მწერლობა უბრალო იარაღია სამატრაკვეცო მაზნით. განსაკუთრებით გამრავლდენ დღეს ჩვენში მატრაკვეცები ლიტერატურულ ასპარეზზე. აქ იმათ ერთი განგაში გააქვთ. სადაც არ გინდათ, ყოველგან ისინი მეცნიერების პირით ლაღადებენ; ისე სიტყვას არ იტყვიან, რომ მეცნიერებას უკანასკნელი დასკვნა არ იმოწმონ. და მერე გაგეგებათ კი რამ მეცნიერების, რომლის სახელით ასე ბოროტმოქმედებენ? ყველაფერი გვიჩვენებს, რომ მათ მხოლოთ ფორმისთვის შეუძენიათ სწავლა და მეცნიერებასთან კი შორს არიან, მეცნიერება უარყოფს მატრაკვეცობას მისთვის მხოლოთ შეშმარიტება არსებობს, ან კი რა საჭიროა მატრაკვეცისთვის მეცნიერება, როცა მას უიმისოთაც იოლათ შეუძლია წავიდეს. მისთვის საჭიროა მხოლოთ ის, რომ საზოგადოება დარწმუნებული იყოს, რომ მას სწავლა შეუძლია, მეცნიერება შეუსწავლია. როგორც ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი მატრაკვეცი მტკიცეთ როდი ადგას ერთ რომელსამე განსაზღვრულ მიმართულებას. მან წინდაწინ არ იცის, სად უფრო დიდი გავლენა ექნება, ან სად უფრო დიდ სახელს მოიხვეჭს, და ამიტომ იგი დღეს ერთს მიადგება და ხვალ მეორეს, თითქო შინჯავს, სად უფრო ხელსაყრელი იქნება ჩემი მოკალათებაო. არა იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ჩვენი მატრაკვეცი მოისოციალისტებს კიდეც ოღონდ კი მუშებიც მოიმადლიეროს, რადგანაც იცის, რომ ათასში ერთხელ იმათ ბანაკშიაც კარგია ყოფნა. მაგრამ მეორე დღეს ხედავთ, ჩვენი „სოციალისტი“ მუშების მოწინააღმდეგე ბანაკში გადამხტარა და იქ ცდილობს დაბინავებას. ეს ალბათ იმიტომ, რომ იქ ყოფნა მისთვის უფრო სასარგებლოა. და ამავე დროს იგი, რასაკვირველია არ ივიწყებს საერთო მოქმედებას, სოლიდარობას, თავისუფლებას და გმობას. ის ყოველთვის მაღალ იდეებით იხსნის თავის გადასვლა-გადმოსვლას, ასკაკიღოის თამაშს. თავის სივაგლახეში აბა ვინ გამოტყდება. მაგრამ მოვა დრო, როცა მატრაკვეცებს სამუდამოდ ბოლო მოეღებათ. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ შემუსრა და დაამსხვრია წინანდელი კერპები, მიწას დაანარცხა წარსული ცხოვრების უდიერი მატრაკვეცები, იგივე ცხოვრების განვითარება განა ვერ მოსპობს ჩვენი დროის დაგლახაკებულ მატრაკვეკებს? ასეთი ბედი მათ არ აცდებათ- ეს მათ კარგათ უნდა ახსოვდეთ.

ფ. მახარაძე.

სხვადასხვა ამბები.

სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: „უმაღლეს საადმინისტრაციო წრეებში ბევრს ლაპარაკობენ იმ თათბირის შესახებ, რომელიც კავკასიას საქმეების გამო ამ ცოტა ხანში პეტერბურგს უნდა მოხდეს. უნდა განიხილონ საკითხი კავკასიაში წესიერების დასადგენათ რა რადიკალური ზომები უნდა იქნას მიღებული“.

— ამავე გაზეთებში ვკითხულობთ: „როგორც ისმის, კავკასიაში უწესოების ჩასაქრობათ რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ და შუა ადგილებიდან გაიგზავნება ახლად შემდგარი ჯარი“. ამავე მიზნით „მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგე ბარონი ნოლდე ამ დღეებში განსაკუთრებულ მინდობილობით კავკასიაში მიდის“.

— როგორც მკითხველებმა იციან, გლეხთა მოძრაობის გამო მღვდლებს სოფლიდან შემოსავალი მოესპოთ. ბევრი მღვდელი ისეთ გაჭირვებაში ჩავარდნილა, რომ სხვა სამუშაოს ძებნას შესდგომია. სხვათა შორის ცაგვერის მღვდელს ვ. ხ—შვილს მოუსურვებია რკინის გზის ლიანდაგზე დღიურ მუშათ დადგომა, მაგრამ ადგილობრივ ლიანდაგის ოსტატს არ მიუღია. მღვდელი და დღიური მუშა როგორ იქნებაო. მაშინ მღვდელს თხოვნით მიუმართავს რკინის გზის უფროსისათვის რომელსაც თანხმობა განუცხადებია მღვდლის დღიურ მუშათ მაღებაზე. მღვდელი ლიანდაგზე მუშაობს სხვა მუშებთან ერთათ და ღებულობს ოთხ აბაზს.

— გაზ. «კასპი» ნამდვილ წყაროებიდან იუწყება, რომ ბაქოში გრადონაჩალსტვოს დაარსება უკვე გადაწყვეტილია და ამ დღეებში კავკასიის ნამესტნიკს დასამტკიცებლათ წარედგინება. გრადონაჩალსტვო დაარსდება 1906 წლის 1 იანვრიდანაო.

— საგარეჯოში განახლებულა გლეხთა მოძრაობა. «ნოვ. ობ.»-ს სიტყვით, ამ მოძრაობის ჩასაქრობათ საგარეჯოში გაიგზავნა მაზრის უფროსის თანაშემწე ვოზნესენსკი რომელსაც თან დრაგუნის პოლკის რამდენიმე სალდათი ახლავს.

— 13 სექტემბერს, კირპიჩნი ქუჩაზე მძიმედ დაჭრეს სარაჯიშვილის ჭარხნის გამგე ი. ი. გაკრილოვი. მსროლელი მიიმალა. გავრილოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს და ჩვენების ჩამორთმევის დროს განაცხადა, თუმცა ვიცი ვინც მესროლა, მაგრამ გვარს ვერ დავასახელებო.

— 12 სექტემბერს, საღამოზე, ბათომში მოკლეს რკინის გზის ნაწილის ინჟინერი ვოლკოვი.

— მაჰმადიანებისა და სომხების წარმომადგენელნი ბაქოში. თუ ვინიცობაა სომეხმა დაჭრა ან მოკლა მაჰმადიანი, ან თუ სომეხმა გაძარცვა, ან ცეცხლი წაუკიდა მაჰმადიანის ქონებას და თუ ეს მკვლელობა, გაძარცვა და ცეცხლის წაკიდება ეროვნულ განხეთქილების ნიადაგზე მოხდა, ბაქოს სომხური საზოგადოება მოვალეა ზღოს ქონება და ქონების მხრივ უზრუნველ-ყოს მოკლულის ანუ დაჭრილის ოჯახობა. ამ გვარივე მოვალეობა აძევს მაჰმადიანთა საზოგადოებასაც. ამ გვარი პასუხისგების ვადა დანიშნულია 1907 წლის 1 იანვრამდე. თითო მხარე პასუხს აგებს ერთ მილიონ მანეთამდე. ხელწერილი დასდეს მაჰმადიანებმა და სომხების საზოგადოებების ათ-ათმა შეძლებულმა წევრმა.

— სოფ მეჯვრისხევში მოუკლავთ ადგილობრივი მემამულე ი. ნათიშვილი.

— „კავ.“-ში გამოცხადებულია: რადგან თფილისის გენერალ-გუბერნატორი იაცკევიჩი სამსახურის გამო სხვაგან წავიდა, დროებით გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულება დაევალა დივიზიის გენერალს რილსკის.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებით, კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიამ ამას წინათ ცირკულიარული მიწერილობანი დაუგზავნა კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს. პოლიციის დეპარტამენტი ეხება ხალხის წლევანდელ მოძრაობას და წერს, რომ პოლიციამ ბევრგან სისუსტე გამოიჩინა მოძრაობის საწინააღმდეგო ბრძოლაში და ამიტომ ადმინისტრატორებმა ყოველივე ღონე უნდა იღონონ, რომ პოლიცია მეტის სიფხიზლით იქცეოდესო.

— ბათუმიდან იტყობინებიან, რომ 8 და 9 სექტემბერს იქ ოთხი გემით რუსეთიდან ჯარი მისულა, ერთი პოლკი ქუთაისს დაბანაკდება, მეორე —ბათუმს.

— ბაქოში მუდმივ ჯარის რიცხვი გადიდებული იქნება. „კასპი“-ს სიტყვით, სულ ბაქოში დაბინავდება 30 ათასი კაცი. ამ რიცხვში იქნება ცხენოსანი ჯარი და არტილერია. ბაქოს გუბერნიაში ბაქოიანათ სულ დაბინავდება 80 ათასი სალდათი.

— სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია ბათუმიდან გაგზავნილი შემდეგი დეპეშა: „ბათუმში აღმოაჩინეს საბრძოლველო იარაღის საწყობი“.

— გაზ. «რუსის» სიტყვით, კიევის ოლქიდან კავკასიაში ერთი კორპუსი ჯარი იგზავნება.

— ბათუმიდან ამ დღეებში სადღაც გაუგზავნიათ ხერსონის პოლკის ორი ბატარეია.

— 13 სექტემბერს სად. ლანჩხუთის ბანაკიდან 11 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა მიმავალ მატარებელს № 22, შეაჩერა, გაძარცვა საჭმლის ვაგონები და მიიმალა.

— ქუთაისის გუბერნიაში აპირობს დაბინავებას ჯერჯერობით ოთხი ახლათ მოსული პოლკი და 3 ბატარეია. ეს ჯარი ასე განაწილდება: ორი პოლკი და სამი ბატარეია დაბინავდება ქუთაისში, ოთხ-ოთხი როტა—ზუგდიდსა, ფოთსა, სენაკსა და ზესტაფონში, ხოლო თითო როტა—ხონსა, სამტრედიასა და სხვა დაბებში.

— ადგილობრივ გაზეთებს ქუთაისიდან დეპეშით ატყობინებენ: 16 სექტემბერს საგუბერნიო საბჭოს სხდომის გახსნის დროს ვილაცამ რევოლვერი გაისროლა. ერთი დაშავებულ-თაგანი მსუბუქათ არის დაჭრილი. სხდომა გადადებულ იქნაო.

— თფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ 16 ენკენისთვეს გუბერნატორს წარუდგინა ქალაქის საბჭოს ხმოსნების განცხადებანი სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. განცხადება შეუტანია 61 კაცს. დარჩა 18 კაცი. ამათგან 10 ქალაქს გარედ იმყოფება. ქალაქში მყოფთაგანს განცხადება არ შეუტანიათ შემდეგ ხმოსნებს: ბ. ს. ესაძეს, ექიმ კიუჩარიანცს, ინჟენერ ახუნდოვს, ვ. გ. კანდურალოვს, ლენჩევსკის, სოსინს და ფსაროვს.

— გენერალ იაცკევიჩის ნაცვლათ თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნა კავ. გრენადერთა დივიზიის უფროსი გენერალი რილსკი. 12 სექტემბერს გენერალ რილსკის თხოვნა შეუტანია ნამესტნიკთან, გამანთავისუფლოთ გენერალ-გუბერნატორის თანამდებობისაგანაო.

— როგორც პეტერბურგის გაზეთებს დეპაშით ატყობინებენ, ვილაც შეიარაღებული კაცები საგურამოში თავს დასცემიან თავ. ილია ჭავჭავაძეს. თავდამსხმელთ წაულიათ იარაღი.

— პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია: ,,კავკასიაში იგზავნება ყველა პოლკები მე-21 კორპუსისა, აგრეთვე მე-303 საარტილერიო ბრიგადა და ურალის ყაზახთა ერთი პოლკი. მთავარ შტაბში ლაპარაკია აღძრული ჯარის სხვა რიგად განაწილების შესახებ. როგორც უკვე იყო მოხსენებული, რამდენიმე კორპუსი რუსეთის შუა გულიდან კავკასიაში გაიგზავნება, რამდენიმეც ფინლიანდიაში“.

— თფილისის რეალურ სასწავლებელის საპედაგოგიო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, ამ სასწავლებელში სწავლის ფულის მომატების შესახებ. თითო მოწაფეს 60 მანათის მაგიერ უნდა გადახდეს 70 მ. წელიწადში.

— ,,ნოვ. ობოზ.“ სიტყვით სოფ. ნოსტეში (გორის მაზრა) ამ დღეებში შემდეგი ამბები მომხდარა: ნოსტის მცხოვრებლებს სტრაჟნიმებთან შეტაკება მოსვლიათ, რომლის დროსაც მოუკლავთ ერთი სტრაჟნიკი. დანარჩენი სტრაჟნიკები ახალქალაქს წასულან. კაზაკების მოსაყვანათ. როცა ისევ სოფელში დაბრუნებულან, ნოსტეში აღარავინ დახვედრიათ. მთელი სოფელი სადღაც გახიზნულა. ამბობენ, ტყეში იმალებიანო. გახიზნულებს მდევარი გაუგზავნესო.

— რუსეთის გაზეთების სიტყვით, კავკასიაში იგზავნებიან: ყველა პოლკები ოცდა-მეერთე კორპუსისა, რომელნიც ამ ჟამად კიევსა და მის გუბერნიებში დგანან, 303 საარტილერიო ბრიგადა და ერთი პოლკი ურალის კაზაკთა. ეს ჯარები წინად შორეულ აღმოსავლეთში უნდა გაეგზავნათ.

— კავკასიის პოლიციის გამგე გენერალი შირინკინი რუსეთის პოლიციის გამგეს გენერალ ტრეპოვს დეპეშით ატყობინებს არმავირში 15 სექტემბერს გათავებულა საყოველთაო გაფიცვაო.

— გაზეთების სიტყვით **გლეხთა კავშირი** ძლიერი სიჩქარით იზრდება, ასე რომ ამ ჟამათ იმაში ითვლება ასიათასზე ძეტი წევრი რუსეთის 42 გუბერნიებიდან. (Кавк.).

ბაქოს მუშების მოთხოვნილებანი. 22 სექტემბერს, როგორც ვიცით, პეტერბურგში უნდა მოხდეს ნავთის მწარმოებლების კრება. ბაქოს მუშებმა მოითხოვეს, რომ მათ მიე-

ცეს უფლება გაგზავნონ თავისი დეპუტატები ამ კრებაზე, სადაც უნდა დაიცვან შემდეგი მოთხოვნილებანი მუშების:

1) ოშიანობის დროის წესების მოსპობა და მუშების შეიარაღება კაპიტალისტების ხარჯით. თათრებისა და სტრაჟნიკების პოლიციის სამსახურიდგან გადაყენება და სათადარიგო ჯარის კაცებიდგან შემდგარი მილიციის მოსპობა.

2) დაარსდეს პრომისლებს გარეთ მუშების უბნები ტრამვაიებით, საზოგადო და ტეხნიკური შკოლებით, საავადმყოფებით, სახალხო სახლებით, ბიბლიოტეკებით და სამკითხველოებით ნავთის მწარმოებლების ხარჯით, შკოლების, საავადმყოფოების და სხვა დაწესებულებების გაძღოლაში მონაწილეობა უნდა ქონდეს აგრეთვე მუშების წარმომადგენლებს.

3) მუშების უბნების თვითმართველობა.

4) დაწესდეს კაპიტალისტებიდგან და მუშებიდგან შემდგარი კამერები სამუშაოს მოძებნისათვის. ამ კამერებისათვის ხარჯი უნდა გამოიღონ ნავთის მწარმოებლებმა.

5) დაარსდეს მხმარებელი საზოგადოებები, დუქნები და პურის საცხობები. ამ დაწესებულებების ორგანიზაციისთვის ნავთის მწარმოებლები აძლევენ ერთ დროებით შემწეობას. ხელმძღვანელობა ეკუთვნის მხოლოდ მუშებს.

6) მუშებს, რომლებიც დათხოვილ იქმნებიან უნდა მიეცეს სამი თვის ჯამაგირი.

7) იმ მუშებს, რომელთაც ანგარიში არა აქვთ მიღებული, უნდა ეძლეოდეს მთელი ჯამაგირი.

8) მიეცეს მუშებს დამწვარი ქონების საფასი.

9) გაიხსნას უფასო სასადილოები ყველა უმუშაოდ დარჩენილებისათვის ან მიეცეს ცოლ-შვილიანებს. დღე და ღამეში თითო მანეთი. ხოლო უცოლშვილოთ 50 კაპ.

10) მიეცეს მუშებს უფასო ბინები ან ბინის ფული.

11) საზოგადო სამუშაოების ორგანიზაცია.

12) გამოიცეს მუშების გაზეთი, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე უცენზუროთ. ნავთის მწარმოებლები აძლევენ ამ საქმისთვის ერთდროებით შემწეობას. ხელმძღვანელობა ეკუთვნის მუშებს.

13) ქარხნებში და პრომისლებზე მუშების კრებების თავისუფლება.

14) გადაასახლონ პრომისლებთან ახლო მდებარე სოფლებიდგან მოუსვენარი ელემენტები.

15) მოისპოს უმუშაოდ დარჩენილთა სოფლებში გაგზავნა.

16) გაიხსნას რუსულ-თათრული შკოლები. (Н. О.).

დაშა-სოფლის ამბები.

ქ. სილნაღი. 29 მარიამობას აქ უკვე შეუდგნენ თავად მ. რ. ვახნაძის თავმჯდომარეობით სპარობო წარმომადგენელთა არჩევნებს. მსხვილ მესაკუთრეთა მხრით არჩეულ იქმნენ თავადნი ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ი. რ. ვაჩნაძე, მ. ა. ანდრონიკაშვილი და ზ. ა. ბაბაშიძე (მსხვილ მესაკუთრეთ ითვლება ვისაც 72 დესეტინაზე მეტი აქვს). მეორე დღეს მოხდა არჩევანი წვრილ მესაკუთრეთა წარმომადგენლებისა. არჩევანზე დასწრო 113 კაცი. ჯერ არ შედგომოდენ საქმეს, რომ ხალხმა მოითხოვა დანებოს თავი თანამდებობას ბატონმა არამაიხე მდივანმა მ. ნასიძემ, რომელსაც თავის თავი აერჩია ამ თანამდებობაზე. წარმომადგენლებათ არჩეულ იქნენ ექვსი კაცი: ი. დ. ქიქოიძე, გ. ი. დარჩიევი, ბ. ნ. ავერკიანი, ი. ს. გოდერძიშვილი, ზ. დ. ნაცვლიშვილი და მ. გომელაური. ამ დღეს ამით დამთავრდა სხდომა, რომელიც 1-ლ ენკენისთვისამდე აქმნა გადადებული. აქ ხშვათა შორის ერთმა წარმომადგენელთაგანმა მიმართა თავმჯდომარეს შემდეგი სიტყვებით: ბატონო თავმჯდომარევ! დღეს ჩვენ აქ შევკრებილვართ რათა შეუდგეთ ერობისა საქმეს, მაგრამ ნუ დაგვიწყებია, რომ დღეს ჩვენ გვესმის და გვაწუხებს კვნესა და ვაება ჩვენის ამხანაგებისა და ძმებისა, რომელნიც დაჩეხეს და დახოცეს შეუბრალებლათ ქ. თელავსა ერევნის მოედანზე 29 მარიამობისთვეს. ამიტომ ამ ბედობებში ჩვენ არ შეგვეძლოან შეუდგეთ საქმეს. ვინ არის თავდები იმისა, რომ ჩვენც არ დაგვიდგეს ასეთი უბედური დღე, როგორიც ჩვენ უდანაშაულოთ დახოცილ ძმებს და ამხანაგებს? ამიტომ მოვითხოვთ დაიხურას სხდომა და გადაიდას სხვა დროისათვის. კრება დაიხურა და გადადო 3 ენკენისთვისათვის. ამ დანიშნულ დღეს მოხდა საერთო კრება რის მიზეზის გამო კრება გადაიდო 5 ენკენისთვისთვის. ეს ორი დღეა საერთო გაფიცვა იყო, თელავსში 29 აგვისტოს დახოცილთა სამგლოვიარო. დაიკეტა მთელი ბაზარი, ასე რომ გასაყიდი არა ფერი არ იშოვებოდა. მაზრის უფროსის განკარგულებით გამოწვეულ იქმნა თუქურმიშიდან ორი ესკადრონი დრაგუნის პოლკისა, სპერობო დარაჯნი ლაგოდეხიდან და სხვა ადგილებიდან. მთელი აქაური ქუჩები და ბულვარი მარტოკა სიდათებს ეჭირათ. 5 ამ თვეს გაიდო დუქნები და ქალაქს დაუბრუნდა სიცოცხლე. ადგილობრივმა ნოქრებმა დაადგინეს: რომ დუქნები გაიღოს დილის 6 საათზე და დაიკეტოს საღამოს შვიდ საათზე, რაც უკვე სია სრულებით იქნა მოყვანილი.

ვ. მანჯავიძე.

ქ. ოზურგეთი. 26 აგვისტოს ქალაქის ბაღის რესტორანში დიდძალი ხალხის თანდასწრებით გაიხსნა კრება ერობის შემოდების შესახებ მოსაფიქრებლათ. ნიკო თავდგირიძე თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ რუსეთში 30 წელიწადს კიდევ არაფერი არ იქნება და ამიტომ ნუ დავკარგავთ იმას, რაც უკვე მოპოვებული გვაქვსო და სხვა. ძალიან ცუდი რწმენის ეროვნებაო უთხრეს მას, როგორც ჩანს ან არ გაგეგება რა ხდება დღეს ქვეყანაზე ან არ გინდა გაიგო: ჩვენთვის რუსეთის ბიუროკრატიას არაფერი არ მოუცია და დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ არც მოგვცემს რასმეო მან დაინახა ხალხში ძალა, და ამიტომ გადმოგვიგდო რაღაც გულმოკლეკილი ერობა, მარა არა, ასე ჩვენ ეხლა აღარ მოვსტუქვდებით; ის დრო წავიდა. ჩვენ მოვითხოვთ ნამდვილ ერობას, არ მოგვცემენ და არ გვინდა. დეე დაინახოს ბიუროკრატიამ, ვის აქვს მეტი ძალა. ასე მიუგეს ბ-ნ ნიკოს. მარა ნიკომ არ დაიშალა და კიდევ დიდხანს იორატორა, თუმცა ერთ და იმავეს იმეორებდა ყოველთვის და მაბეზრებელიც ორატორებიც უველა მუხლებს ურდვევდა. კრება ხანის კამათის შემდეგ დაწერეს ორივე მხარემ რეზოლუცია და დაუდგეს უთი. მერე რა ადმოჩნდა? ნიკომ მიიღო 70 თეთრი და 168 შავი. ხოლო მეორემ კი 213 თეთრი და 43 შავი. აქვე მომეყვნა ხალხისაგან მიღებული რეზოლუცია: „ჩვენს გაზავნილს წარმომადგენლებს ვავალებთ მოითხოვონ, რომ დაუყონებლივ შემოღებულ იქნას ერობა, რომელიც იქნება დამყარებული საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და დაფარულ კენჭის ყრაზე, განურჩევლათ ეროვნებისა სქესისა, სარწმუნოებისა, სამდიდრო-სიღარიბისა. არ უნდა ქონდეს არავითარ ცენზს მნიშვნელობა და უპირატესობა, არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, ვისაც კი ოცი წელი შესრულებული ექნებოდა. ერობა უნდა იქნას სრულიად დამოუკიდებელი ადმინისტრაციო-პოლიციისაგან, უნდა იქნას დამყარებული ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველზე და სრულიათ თავისუფალი თვითო უფლებებით. უნდა განაგებდეს ყოველივე საქმეს და პასუხის მგებელი უნდა იყოს მხოლოთ თავის ამომრჩეველების წინაშე". თუ ამნაირ ერობის მოცემაზე მოაწერობა უარს იტყვის, იმ შემთხვევაში წარმომადგენლები პირდაპირ ვაცხადებთ უარს ამბობენ სხვა ტიპის

ერობის მიღებაზე, ტოვებენ სათათბიროს და მოდიან უკანვე. ეს რეზოლიუცია ტაშის კვრით იქნა მიღებული. ამის შემდეგ მეორე კრება მოხდა 29-ს, რომ დაესახელებიათ კანდიდატები და ხმოსნებისათვის გაეგზავნათ დასამტკიცებლათ. ხალხმა დაასახელა ოთხი კაცი: ს. გრიაზნოვი, ს. ვაშაძე, გ. ჭოდოშვილი და მ. ახალაძე. ამასთანავე აირჩია ათი კაცეც კერძო პირები და დაავალა, რომ ხმოსნებისათვის არჩევნების დროს თვალ-ყური ეღევნებიათ. თითონ ხალხმა კი დაიცადა ბაღში, სადაც გაიმართა დიდებული მიტინგი, რომელზედაც წარმოითქვა მრავალი დროს შესაფერი სიტყვები. თვითმმართველობაში კი იმ დამეს არჩევნები არ მოხდა, რადგანაც უველა ხმოსნები არ გამოცხადდა. დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა ბაღში 30-ს. უნდა აერჩია წვრილ და სხვილ მემამულეებს დეპუტატები: დილიდანვე აურებელი ხალხი მოაწყდა ქალაქის ბაღს. 11 საათზე თ. კ. ერისთავის თავმჯდომარეობით გაიხსნა კრება, თუმცა ხალხმა მოითხოვა თავმჯდომარეთ სხვა ვინმე იყოთო, მარა როცა გაიგო კანონი ამის ნებას არ აძლევდა და მარშალი უნდა ეყოფილიყო, მაშინ სიტყვა ჩამოართვეს თავმჯდომარეს არ დაგვიშლიო თავისუფლათ ლაპარაკი. ამანაც ნება მისცა როგორც ენებავთ და რაც გნებავთ ის იალაპარაკეთო. მრავალი სიტყვები ითქვა. ბეურმა „რეჩი“ სთქვა. დიდი ხნის კამათის შემდეგ ამათაც ის რეზოლიუცია მიიღეს რაც სხვებმა და აირჩიეს ერთხმათ დეპუტატები. სულ არის გურიიდან არჩეული 33 დეპუტატი, მათ შორის არიან სხვილი მემამულეებისაგან: 1) ჯაბა ერისთავი, 2) გრ. გუგუნავა, 3) ნიკო გეგელაშვილი, 4) მიშა თუმანიშვილი, 5) ალექს. შარაშიძე და 6) ერმილე ნაკაშიძე. წვრილი მემამულეებისაგან: 1) არსენ მამულაშვილი, 2) დიმიტრი გოგიძე, 3) დავით ცეცხლაძე, 4) ილ. სახაშვილი, 5) ალ. ხუნცია, 6) ირ. კალანდაძე, 7) ნ. თავმაიშვილი, 8) არსენ წითლიძე, 9) გიორგი ქიქოძე, 10) დეკანტი გოგიბერიძე, 11) მოსე გოგიტიძე და 12) იდია მგალობლიშვილი. ქალაქმა აირჩია: სიმონ გრიაზნოვი და გიორგი ჭოდოშვილი. გურიის სახოგადოებებში აირჩიეს: 1) ცინცაძე, 2) ილ. კალანდაძე, 3) დ. ვაჩეიშ ვილი, 4) თ. დომინაძე 5) თ. კიკვაძე, 6) ირ. დოლიძე, 7) ბაბიბ კორსუაძე, 8) სვეტი მურვანიძე, 9) გაბ. მეგრელაძე, 10) არ. ფირცხელაიშვილი, 11) გ. მურვანიძე, 12) ნოე გოგელია, 13) მახ. კვაშაძე. არჩევნების შემდეგ კრება გამოითქვა დაიშალა. თავმჯდომარეს მადლობა გამოუცხადეს თავისუფლათ დაბარაკის ნების მიცემისათვის. 31-ს დეპუტატებმა კლუბის დარბაზში მოიყარეს თავი, რათა ეთათბირათ სხვადასხვა კითხვების გადაწყვეტაზე და თან საგუბერნიო კრებაზე გასაგზავნი შვიდი კაცი ამოერჩიათ. კრება გაიხსნა ო. კ. ერისთავის თავმჯდომარეობით, მარა დიდხანს ალარ გაგრძელებულა, რადგანაც გაიგეს თეთალისში თვითმმართველობის დარბაზში მომხდარი შემაძრწუნებელი ამბავი. ერთხმათ თხოვეს თავმჯდომარეს არ შეგვეძლიან ამის შემდეგ ჩვენ კრება განვაგრძოთ და გთხოვთ ერთი დღით გადადვათო. ისიც დასთანხმდა და კრების შეწუვეტის მიზეზი გუბერნატორს ტელეგრამით მოახსენა.

სილია.

—

სოფ. ბახვი (გურია). ამას წინეთ ბახვის სახოგადო კრებას დავესწარი. კრება გაიხსნა დილის 11 საათზე და გაგრძელდა დამებამდის. ბევრი სახოგადო და კერძო საქმეები გაირჩა კრებაზე; ბევრიც გაურჩეველი დარჩა. უნდა მოგახსენოთ გამოუთქმელ ნეტარებას გგრძნობდი, როცა ვხედავდი ხალხის ასეთ განვითარებას, სამართლიან, დოდიკურ მსჯელობას. ძალიერ ცდებიან, ან განძრახ სიმართლეს ამბობენ ისინი, ვინც გაიძახიან გლეხი უვიცი და სახოგადო სამსახურისათვის მოუმზადებელიაო.

ერთმა აქაურმა მკვიდრმა, ბაქოში პოლიციის ბრისტავთ მოსამსახურემ, კრებაზე დასწრების ნება ითხოვა. კრებამ უპასუხა: მობრძანდით, დაგვესწარითო, ჩვენ შერისთანების არ გვეშინიან, ამხანაგთ კი ვერ მიგიღებთო. მოვიდა სტუმარი, რომელსაც ერთ მოუვა მისივე ძმა „ჩანოგნიკი“, რომელიც დროებით თეთალისში გადასახლებულიეო. ეს ის ვაჟბატონი გახლავთ, რომელმაც ამ 30 წლის წინათ, პოლიტიკური დანაშაულობისათვის დევნილმა, სტამბოლში რამოდენიმე წელი გაატარა, როცა დაბრუნდა სამშობლოში, რამოდენიმე ხანს «დოხტურობდა», მერმე კი „გაჩინოვნიკად“ და ხალხის შემავიწროებელი გახდა. როგორც ამ კრებაზე გაჭოიერკვა და დაუმტკიცეს კიდეც, ამ ვაჟბატონს ბევრი საწუალი ოჯახი დაუღუპავს თავისი მოქმედებით. კრება შეეკითხა: რა აზრით გამოცხადდი ჩვენ კრებაზე? ან გინდა ჩვენი ამხანაგობა თუ არა?— თქვენი ამხანაგობა მინდა, როგორც ჩანოვნიკსო, უპასუხა მან.

ამის შემდეგ კრება სხვათა შორის ერთი აქაური აზნაურის საქმის გარჩევას შეუდგა, რომელსაც ტოდთან უკმაუოფილება ქონდა. როგორც ალმოჩნდა, ამ საქმის გარჩევას კრება მესამეჯერ შეუდგა, მარა აზნაური ეოველთვის უარს ამბობდა მედიატორულ სამართალზე, ახლაც იუარა. კრებამ ხელახლა ურჩია დათანხმებოდა, მარა ვერას გახდა. კრებამ დაადგინა: ვინაიდგან კრების სამართლიანი მოთხოვნა აზნაურმა არ შესრულა, გაძევებულ იქნას კრებიდანო და გააძევეს კიდეც.

ამ დღეს კრებას უნდა გაურჩია ერთი ფრიად საინტერესო საქმე, მარა გარჩევა გვიან მოასწრეს და შემდეგისათვის გადიდგა. აი, დახლოვებით რა მაამბო მომხივანმა: თუმცა 45 წლისა ვარ, მარა თორმეტი შვილების ბატრონი ვარ. ბევრი ჯოჯოხეთი გამოვცადე სიდარიბის გამო. უფროს შვილს სამი წლის წინეთ სალდათობა შესდგა, ხოლო იმის მომდევნოს—გასულ წელში. ვცდილობდი ამ მეორე შვილისათვის ამეცდინა სალდათობა, ვინაიდგან ის იყო ჩემი შრომის მეუღლე. ადგილობრივ მამასახლისს შევეხვეწე დახმარებამ. მან მითხრა: მარშალი შემპირდა შენი შვილის განთავისუფლებას, მაგრამ 400 მანეთი ამ თავითვე უნდა მისცეო. მოელი ჩემი ქონება არ ღირს ამ ფულათ, მარა ერთმა მოყვარე—ვაჭრმა მასესხა 250 მანეთი, რომელიც მაშინვე მამასახლისს მიუტანე. ჩემი შვილი განთავისუფლეს იმ მიზეზით, რომ უფროსი უკვე მსახურებდა და, ამხანაგთ კერძო დახმარება არავის გაუწევიო ჩემთვის. ფულები კი მამასახლისმა მიისაკუთრა და ერთი კაპეიკიც არ დამიბრუნა. სოფლის ვექილებმა ეს ჩემი საქმე გამოიძიეს და ბრისტავს გადასცეს. ბრისტავმაც ხელახლა გამოიძია და... მახსოვს. ახლა კრებას ვთხოვ ამ სალიქვაძის კასამართლებასო.

ი. ვორდელაძე.

—

გურია. უოველგვარი ზომები მიიღო გურიის ხალხმა ავაზაკობის წინააღმდეგ, დიდი ენერგია დახარჯა მის მოსასპობათ, მაგრამ მაინც არ იქნა მისი ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა. გასულ კვირას რამოდენიმე შეიარაღებული კაცები თავს დაესხა ნატანებიდან მომავალ დილიჟანს და გაცარცვეს მგზავრები. ამ ამბავმა ხალხი ძალიანი აღელვა. ხან მოკლე ძიებისა და ძებნის შემდეგ ხალხმა შეიპყრო ოთხი მათგანი, რომლებსაც ამ დღეებში გაასამართლებენ.

31 აგვისტოს ს. კვირიკეთში ხალხმა გაარჩია ა. თ—ას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა: კაცის მოკვლა, კომიტეტის სახელით აირადის მოგრება, ეაჩადობა და სხვა. სახოგადოებამ თხოვა დამნაშავეს გამომტყდარიეო, მაგრამ მან ბოლომდე ვარი განაცხადა და, შემდეგ კი, როდესაც სახოგადოებამ უკვე დაუმტკიცა ზოგიერთი დანაშაულობანი. მაშინ გამოტყდა და თქვა: ჯიბგირობა, ქურდობა, კაცის მოკვლა უველაფერი ჩამიდენია, რადგანაც სახლში არც ტანსაცმელს და არც საჭმელს არ მაძლევენო. აგრეთვე განაცხადა: ქურდობაში მამა ჩემიც იღებდა მონაწილეობას, რომელსაც რამეს მოვიპარავდი

მამა ჩემი დიდი სიამოვნებით დებულობდა მონაწილეობას ნიგოების და მაშინ კარგათაც მეუერობდაო. საზოგადოებამ აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო დამნაშავესათვის სასჯელის გამონახვა. კომისიამ წამოაყენა სამ ნაირი სასჯელი: 1) დამნაშავის გაძევება ქუთაისის გუბერნიიდან და საზოგადოების უკანონო შვილათ ცნობა. 2) საკვდილით დასჯა, ჩამწყვდევა ბნელ ოთახში და 3) ხრამჰკანდა-აგეტაციის საშუალებით გასწორება. საზოგადოებამ ხმის უმეტესობით მიიღო პირველი. დამნაშავე ცნობილ იქნა საზოგადოების უკანონო შვილათ და გადასახლეს ქუთაისის გუბერნიიდან. აგრეთვე ხალხმა სამართალში მისცა მამა მისიც.

ალიხანოვის ჯარის წასვლამ ზოგიერთ ვაჟბატონებს თავზარი დასცა.—არაფერ გვიშველეთ ჯარი, თორემ რევოლუციას ამ დღეებში დაიწყებსო, ხალხი უკვე შეიარაღდესო. მიმართეს ხოლმეცა. არ გასულა ერთი კვირა, რომ უკვე გვესტუმრა ერთი ბატალიონი სალდათებისა და, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ დღეებში ალიხანოვიც მოდის თავისი არტილერიით...

არ შემიძლია არ ვთქვა ორიოდე სიტყვა იმ ვიოოომდა ექიმზე, რომელიც ამ ბოლო დროს შემოქმედში დაბინავდა. ხალხი თან და თან კარგავს ნდობას, ხალხი თან და თან რწმუნდება, რომ ის მატყუარა, გაიძვერა ექსპლოატატორია. თუ ვინმემ მის წინააღმდეგ რაიმე თქვა, მაშინვე მისი დამცველები დაეერიან ხმას: ეს და ეს კაცი მოედულია ექიმებიდან, ორასი მანეთი აუღიაო და სხვა. ამას წინათ ვიღაც ხიდისთაველი ავათმოფეში მისულა მასთან და არ მიუღია: ,,ხიდისთავლები რაღაც ,,კალაზნიკი'' ხალხიაო.

აი რა მიამბო ერთმა ჩემმა მეკობრემა იასონ ბებიამ: ძმა შუკვა ნერვებით ავათმყოფი; ბახმაროდან ჩამოვეყვანე ძალიან მოკეთებული და ამ ბოლო დროს ჩემდა სასუბედუროთ ამ ექიმთანაც მივედი. მან გამოუწერა რაღაც წამლები, რომელმაც ავათმოფს ნერვები უფრო აუშალა და დღეს ავათმოფი თითქმის სრულ ჭკუაზედ აღარ არისო. ამგვარ მაგალითებს ბევრს შეხვდებით სოფელში...

არა მგონია ამდენათ სხვა რაიმე სავაჭრო დაწესებულება უყვარდეს ხალხს, როგორც ათოიაქა, მით უმეტეს ჩვენში, სადაც პროტექციონიზმს და მონოპოლიას დიდი ადგილი აქვს, და აი სწორეთ ამისათვისაა, რომ ხშირათ მკითხველი და ტრუ ექიმები ბინადებიან სოფლებში და ხალხს უმოწყალოთ ეკლეციენტის და ადრე ასხლმებენ წუთი სოფელს. ამ გარემოებას ოზურგეთში ხალხმა დიდი ეურადღება მიაქცია და გადწყვიტეს მეორე ათოიაქის გახსნა. საზოგადოების არჩეულმა ხალებმა მოითხოვეს ვასილ ხუნდაძეს, რომელსაც ათოიაქი აქვს ოზურგეთში, რომ მას დახმარება გაეწია ამ საქმეში, მაგრამ მისგან შემდეგი პასუხი მიიღეს: ,,მე დუქანი ეური ვერ დავკარგავ''-ო.მკითხველი ნათლათ ხედავს, თუ რამდენათ წინააღმდეგია მის საკუთარ ინტერესების ბანი ხუნდაძე და როგორი დამცველი ეოფილა ის ხალხის ინტერესებისა.

არც ერთ სასწავლებელში გურიაში სწავლა არ დაწყებულა...

ვ. ჭარცივაძე.

შინაური მიმოხილვა.

რამდენი რა არ ხდება დღეს ჩვენში, რომ ყველაფრის აღნუსხვა და გამომზეურება შეიძლებოდეს! დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილე ისეთია, რომ მისი გაზეთის ფურცლებზე გამოტანა, და ისიც შინაური ქრონიკის სახით, ყოვლად შეუძლებელია. ძველი და ახალი, ნათელი და ბნელი, ისეა ერთი ერთმანეთში არეული-დარეული, რომ გზის გაკვალვა და ჭეშმარიტ გზაზე დადგომა მეტათ საძნელო შეიქნა. აქამდის თუ თითო-ოროლა მოღვაწე გამოდიოდა საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოთ, ახლა მთელი ხალხი გამოდის, და აი აქ იბადება მრავალი კითხვები, რომლების გადაწყვეტას გვაიძულებს თვით პრაქტიკა. ადვილი იყო საქმე მაშინ, როცა საზოგადო მოღვაწენი უფრო თეორიულათ მსჯელობდენ. დღეს ასე აღარ არის. პრაქტიკა აუცილებლათ თხოულობს ამა თუ იმ საკითხის გადაჭრას, და აი აქ ერთი შემცდარი ნაბიჯის გაკეთება ძვირათ უჯდება თითოეულ მომქმედ ჯგუფს ანუ პარტიას. შეცდომის აცილება შეუძლებელია, ისტორიამ განმეორება არ იცის, და საზოგადოთ, ისტორიული გამოცდილება სხვა გამოცდილებას არა გავს. აქ ჩვენ საქმე ადამიანებთან, გვაქვს, რომლებიც განირჩევიან ერთი ერთმანეთისაგან როგორც თავისი მდგომარეობით, ისე იმ საზოგადოებრივ პირობებით, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან.

ზევით ჩვენ ვთქვით, რომ დღეს სამოქმედოთ თვით ხალხი გამოვიდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს ხალხი საერთოთ გაცნობიერებული და შეგნებული იყოს, რომ მას საკუთარ ინტერესებით გათვალწინებული ქონდეს თავისი ბედი და იღბალი, რომ მისთვის დღეს საჭირო არ იყოს მომზადებული ხელმძღვანელი. კლასობრივი შეგნება ერთი და ორი დღის საქმე როდია, და იგი ერთბაშათ არ ხდება. ჩვენ გვწამს, რომ შეგნებით არ განისაზღვრება მდგომარეობა, პირიქით, მდგომარეობა საზღვრავს შეგნებას, მაგრამ აშკარაა, რომ შეგნების განვითარებისათვის საჭიროა დრო. მეორე მხრით, აშკარაა ისიც, რომ არის ისეთი გარემოებანი, რომლებიც ან აჩქარებენ და ან აფერხებენ ამ შეგნების განვითარებას. დიდი საზოგადოებრივი უბედურებანი, რომლებიც საზოგადოებას ატყდება თავზე, მაგ., როგორც ომი, სიმშილი და სხვ., ეჭვი არ არის, აჩქარებენ ხალხის შეგნების განვითარებას, ერთი ხალხის მეორე ხალხის მიერ დაპყრობა კი, ერთი ერის მეორე ერის მიერ შევიწროება, ე. ი. ის, რასაც ეროვნულ დაჩაგვრას ეძახიან, უეჭველათ აფერხებს კლასობრივ შეგნებას, ხალხში ცნობიერების განვითარებას. თუ ამ უკანასკნელ ხანამდის, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული განხეთქილება აფერხებდა რუსეთის ხალხში კლასობრივი შეგნების განვითარებას, ახლა სამაგიეროთ უკანასკნელმა ომმა, რომელსაც ზედ დაერთო სამრეწველო კრიზისი, რამდენიმე გუბერნიის დამშევა, და გარდა ამისა ეროვნულ სიძულვილის და მტრობის უკიდურესობა (სომხების და თათრების ურთიერთ ამოტლეტა) შესანიშნავათ დააჩქარა საზოგადოებრივი შეგნება. ამ შეგნების განვითარებისთანავე გამოტყვრა მთელი არსებული წესწყობილების უვარგისობა. მოძრაობა, რომელიც წიხეთ ვიწრო ფარგალში იყო მოქცეული, ფართოთ მოედება საზოგადოების თითქმის ყველა ნაწილს. რაც დრო მიდის, იგი სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება. ეს არის ნამდვილი ხალხური მოძრაობა. ხალხი პირველათ გამოდის სამოქმედო ასპარეზზე აქტიური მონაწილეობის მისაღებათ. ეს პირველი მაგალითია ჩვენში, აქამდის ხალხი სხვისი იარაღი იყო, მას სხვები იშველიებდენ თავიანთ კერძო ინტერესების განსახორციელებლათ, დღეს იგი დამოუკიდებლათ გამოდის. მაგრამ ამ დროს მასთან მიდიან სხვა და სხვა ჯურის მატყუარები, ვითომდა სხვა და სხვა რჩევის მისაცემათ, მაგრამ ნამდვილათ კი მის მოსაცდუნებლათ.

მოგეხსენებათ, რომ სოლნალში, ამ კამჩეჩოვან ქვეყნის დედაქალაქში, ავტონომიის საქმე აქამდის რაღაც ცუდათ მიდიოდა. მაგრამ დაიწყო კრებები ერობის შემოღების შესახებ სათათბი-

რით, ჩავიდა იქ ვლ. დარჩიაშვილი *), და საქმე სულ სხვანაირათ დატრიალდა. ავტონომიის მოწინააღმდეგენი პირქვე დაამხეს და ავტონომია მიღებულ იქმნა იმავე ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის მეცადინეობით. გამარჯვებაც ასეთი უნდა! „ივერიის“ კორესპონდენტის სიტყვით, ბ-ნ დარჩიაშვილის მეთაურობით შემუშავებული დებულება ეროვნებაზე, შემდეგი სიტყვებით იწყება: „ვიდრე კავკასია ავტონომიას მოიპოვებდეს, მის უმაღლეს საერობო დაწესებულებას შეადგენს სეიმი, შემდგარი საგუბერნიო ერობათა მიერ არჩეულ პირთაგან („ივერია“ № 163). ყველაფერი ეს სასაცილოა, სამწუხაროთ, რომ არ იყოს. სწორეთ საკვირველი არიან ჩვენი ავტონომისტები. ერთხელაც არ სურთ დაფიქრდენ იმაზე, თუ რა საფუძველი აქვს იმათ ავტონომიას ცხოვრებაში. მაგრამ იმათ როდი აინტერესებს სინამდვილე, იმათთვის მნიშვნელობა არა აქვს შინაარსს, ისინი გატაცებული არიან მხოლოთ ფორმით, გარეგანი სახით. რა თქმა უნდა, ქართველ ბურჟუაზიისათვის, ქართველი თავად-აზნაურობისათვის, ქართველი სამღვდელოებისათვის და ქართველი ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის დიდათ სასარგებლო და ხელ-საყრელია საქართველოს ავტონომია, ვინაიდან ყველა ამათ მაშინ ბევრათ უფრო მეტი გავლენა ექნებათ. ქართველი ბურჟუაზია ბევრათ უფრო ნაკლებათ დაიჩაგრება უცხო ერის ბურჟუაზიისაგანან; ქართველ ინტელიგენციას ბევრათ უფრო ნაკლები მოცილე ელემენტები ეყოლება სხვა და სხვა დაწესებულებებში ადგილის დაჭერაში. ასე ითქმის სამღვდელოებაზედაც. ამიტომ არის, რომ დღეს ჩვენში ავტონომიას მარტო ეს ელემენტები უჭერენ მხარს რაც შეეხება მშრომელ ხალხს, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატს, მისთვის ავტონომია დღევანდელ პირობებში მავნებელი იქნება, და ამიტომაც იგი წინააღმდეგია დღეს საქართველოს ავტონომიის. ჩვენ მუშა ხალხს არ შეიძლება ამის შესახებ სხვა აზრი ქონდეს. ამიტომ ვინც დღეს ჩვენში ავტონომიას თხოულობს, ის მუშა ხალხის გარეშე დგას, ის მშრომელ ხალხის ინტერესებს ღალატობს და ქართველ ბურჟუაზიის, ქართველ სამღვდელოების და თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველი ხდება. ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგიერთებს ეს გაუგებრობით მოდიოდეს, მაგრამ უმეტესობას კი კარგათ ესმის თავისი როლი. ჩვენ მხოლოთ არ ვიცით, თუ ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი რომელ კატეგორიას ეკუთვნის. ამას, რასაკვირველია, მისი პიროვნების დასახასიათებლათ აქვს მნიშვნელობა, საქმისათვის კი სულ ერთია: განზრახ ემსახურება იგი ბურჟუაზიის საქმეს, თუ უნებლიეთ. დღეს ჩვენში ისეთი დროა, რომ იქითაც ყოფნა. და აქეთაც კუდის ქიცინი ყოვლად შეუძლებელია. საზოგადოებაში წმინდა პარტიული ბრძოლა იმართება, პოლიტიკური პარტიები უფრო და უფრო ირკვევიან, და ამ დროს იქითაც ყოფნა და აქეთაც კუდის ქიცინი ბევრათ უფრო საძარცხვინო საქციელია, ვინემ აშკარათ კონსერვატორთა ჯგუფში თავის ამოყოფა. ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ იგი კონსერვატორათ მიგვაჩნდეს, პირიქით, იმას ჩვენ პროპროგრესისტათაც ვთვლით. მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ტერმინი დღეს არაფრის გამომხატველი არ არის. პროგრესი, წინსვლა, გარდა პესსიმისტებისა, დღეს ყველას წამს, მაგრამ ყველას ეს ერთ ნაირათ არ ესმის, და განსხვავებაც სწორეთ აქ იწყება. ჩვენ რასაკვირველია არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ყველა ეს პროექტები საქართველოს ავტონომიის შესახებ ერობის დაწესებულებათა სახით, ქვიშაზე აგებულ კოშკებს გვანან, და არა მკვიდრ საფუძველზე აგებულ შენობებს. ჯერ უნდა შეიცვალოს საფუძველი, და მხოლოთ მას შემდეგ უნდა ვიზრუნოთ კედლების ამოყვანაზე...

*) ასეთი იყო ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილი სიდნაღში, და ეს შინაური ქრონიკაც ამაზე იყო დამყარებული. მაგრამ „ივერიის“ ფურცლებზე (№ 166) ახლა მას ფრონტი შეუცვლია და ავტონომიის წინააღმდეგ გამოდის; როგორ მოხდა ეს,—ჩვენთვის საიდუმლოებაა.

რუსეთის ქრონიკა.

ერთ უდაბურ გუბერნიაში, რომელიც ქალაქ გემიდან სამი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, ტამოჟნის მოხელეებს უპოვიათ 660 საკვალერიო შუბებიანი ვინტოვკა, 33 ეუოში ჩაწყობილი და 122,000 პატრონა 60 ეუოში მოთავსებული. ამის შესახებ გამოძიება დაიწყო გუბერნატორმა. (Юр.)

—

სარატოვის გუბერნიის სოფელ ვასილევსკის გლეხებმა თავიანთ საერთო დადგენილებისამებრ სთხოვეს გუბერნატორს ეახლა-რუსების გაყვანა, ვინაიდან უკანასკნელნი ძალიან ავიწროებენ თურმე ადგილობრივ გლეხებს: სტეპენ მათ, დასდევენ ქალებს, ტეპას ემუქრებიან ადგილობრივ სავრობო უფროსს და ყველა ინტელიგენტებს, აბარავენ შინაურ ფრინველებს და სხვა (რ. ვ.).

—

გაზ. „იურისტში“ მოყვანილია საინტერესო სტატისტიკა; გაზეთს გამოუკვლევიათ აბრილში და მაისში მომხდარ პოლიტიკურ მკვლელობის განზრახვათა რიცხვი; ამ ორ თვეში სულ 116 სხვადასხვა თანამდებობის კაცის მოკვლა განუზრახავთ. ამათში მოუკლავთ 42 კაცი, მძიმეთ დაუჭრიათ 62 და გადარჩენილა 12. დაჭრილთა და მოკლულთ შორის ეოფილა ორი გუბერნატორი, 4 პოლიციმეისტერი, 2 საიდუმლო პოლიციის უფროსი, 2 ჟანდარმის პოლკოვნიკი, 11 პრისტავი და პრ. თანაშემწე, 15 უბნის ზედამხედველი, 2 მაზრის უფროსის თანაშემწე, 21 გოროდოვოი, 8 ჟანდარმი და ჯაშუში, 13 ურიადნიკი, დარაჯი და ყარაულა, 7 ეახლა-რუსი, 10 ებრაელებზე მოსამსახურე მოხელეები და სხვადასხვა თანამდებობის კაცი.

—

ფინლიანდიის სოფ. კოტკაში მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს ეკლესიის ფულის გადახდაზე. ჩვენო, განაცხადეს მათ, არავითარ გადასახადს არ გამოვიდებთ ეკლესიის სასარგებლოთ, რადგან ამ დაწესებულებას უსარგებლოთ ვთვლით. ეკლესია მარტო სულებისთვისაა სასარგებლო. თუ ვინმეს ბასტორი დაგვჭირდა, გასამრჯელოს გადავუხდით.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის სამჭედლოს წევრმა, რომელიც სამხედრო გარეთ იყო გაგზავნილი იქაურ პოლიციის ორგანიზაციის შესასწავლათ, უწერა გაზ. „თიგრისს“ თანამშრომელს, რომ პეტერბურგში ამ ჟამად 3,000 პოლიციის აგენტია და წლიური ბიუჯეტი პეტერბურგის პოლიციისა 2 მილიონ მანეთს უდრის.

—

ამა სექტემბრის მეორე ნახევარში პეტერბურგის სამოსამართლო პალატა გაარჩევს პოლიტიკურ საქმეს, რომელიც 17 დამნაშავეს შეეხება. მათ პბრალდებენ კრონშტადტში ფარული ორგანიზაციის შედგენას, რომლის მიზანი იყო სახელმწიფო და სახოგადოებრივ თანამედროვე წესწყობილების დამხობა. დამნაშავეთ, ამას

გარდა, აბრალებენ მე-17 ფლოტის მეზღვაურთა აჯანყებას. ბრალდებულთა შორის სტუდენტებია.

—

ქ. ტაშკენტში, ტაშკენტის, ჩიმკენტის და ჯულფატის მაზრებში, ფერგანის და სამარკანდის ოლქებში გაძლიერებული დაცვის წესები ერთი წლით კიდევ დასტოვეს.

—

საპურობიდეთა უმთავრესი მმართველობა ხელახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარეს—სწორეთ ისე, როგორც ამ ათი წლის წინეთ იყო.

—

ჯადემიური შეკავშირების დელეგატთა მეორე კრებამ მოისმინა რა 556 ქალის განცხადება, დაადგინა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მამაკაცები და ქალები თანასწორ უფლებებით უნდა სარგებლობდენ, როგორც სასწავლებლებში მიღების შესახებ, ისე სწავლის კურსის კავლაში და სამეცნიერო ხარისხის მიღებაშიაც.

—

ადმინისტრატიულ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ადმინისტრაციის მოხელეთა თათბირმა, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს. იმ თათბირის საგანს შეადგენს რადიკალური ზომების გამოძიება კავკასიაში წესიერების და მშვიდობიანობის დასამყარებლათ. ,,С. О.“.

—

7 სექტემბერს მოსკოვის უნივერსტეტის ახალ შენობაში იყო მრავალ რიცხოვანი სტუდენტთა კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 6000 კაცმა. გარეშე პირებს კრებაზე არ უშვებდნენ. სტუდენტები დაიყვნენ რამოდენიმე პარტიებათ. რიცხვით ყველაზე მეტი სტუდენტი მიემხრო იმ პარტიას რომელიც მომხრე იყო გაფიცვის, მეორენი საჭიროთ სცნობდენ უნივერსტეტის სწავლის დაწყებას მესამე პარტიას კი სურდა თავისუფალი უნივერსტეტი. დიდი კამათის შემდეგ გადაწყდა საბოლოო განაჩენი მიიღონ მომავალ პარასკევს. რეზოლიუცია მაინც შეადგინეს წინდაწინ, რომელიც მიიღო 3000 სტუდენტმა. ამ რეზოლიუციის ძალით უნივერსტეტი უნდა გაიხნას სწავლის გასაგრძობათ იმ პირობით კი, რომ სტუდენტებს უნდა შეეძლოთ უნივერსტეტში თავისუფალი კრებების გამართვა და სხვა და სხვა საგნებზე მსჯელობა.

,,Юр.“.

—

ხერსონის საპატიმროდან დღისით გაქცეულა 7 პატიმარი. იმათ შეუხსნიათ ბორკილები და გაპარულან წინათ მომზადებულ ხვრელით. პოლიცია და ჯარი ფეხზე დამდგარა მაგრამ ამათ მათი გზა კვალი ვერ გაუგიათ. ,,С. О.“.

—

ამ წლის 7 დეკემბრისთვის ქ. იაკუტსკის სასამართლოში დანიშნულია საქმე პოლიტიკურ გადასახლებულთა, რომელთაც ბრალდებათ შეიარაღებული თავდასხმა სრედნე-კოლიმსკის ისპრავნიკზე იმ მიზნით, რომ ძალათ გამოერთმიათ მათ სახელზე მოსული წერილები, ვინაიდან პოლიცია გადასახლებულთა წერილებს ხსნის და მხოლოთ წაკითხვის შემდეგ აგზავნის დანიშნულებისამებრ. ,,Н. Ж.“.

—

პეტერბურგის აფთიაქებში ფარმაცევტები გაიფიცენ და წარუდგინეს აფთიაქების პატრონთ 11 სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც სამსახურის პირობების გაუმჯობესების შეეხება. თორმეტს აფთიაქში გაფიცულები უკვე დაბრუნებულან და მუშაობაც დაიწყო, ხოლო 46 აფთიაქში ჯერაც არ დაწყებულა მუშაობა. ,,С. О.“.

—

ქ. ჰელსინგფორსში 1 სექტემბერს კონსტიტუციონალისტების კრება, რომელსაც პარტიის კითხვები უნდა გაეხილა, პოლიციამ გაფანტა ჯარის შემწეობით. ,,Пр.“.

—

ქალაქ სამარაში მასწავლებელთა ურთიერთ შორის დახმარების საზოგადოება არსებობდა. ამ ჟამათ ეს საზოგადოება ექვსი თვით დაუხურავს მთავრობას ,,მასწავლებელთა მავნე მოღვაწეობისათვის“.

—

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი მილიუკოვი სატუსალოდან გაუთავისუფლებიათ. ,,Пр.“.

—

ვარშავაში პოლიციამ გაჩხრიკა გამოჩენილი ასტრონომი მეცნიერი კოვალჩიკი და უპოვა 20 რევოლვერი და მრავალი ხანჯლები. კოვალჩიკი, იმისი ქალი და მცირეწლოვანი ვაჟი დააპატიმრეს. ,,Пр.“.

—

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ვარშავაში ამ რამოდენიმე ხნის წინეთ სიკვდილით დასჯეს სოციალ-დემოკრატი კასპრჟაკი, რომელიც გერმანიის ქვეშევრდომი იყო. როგორც ერთი გერმანელი გაზეთი გადმოგვცემს, გერმანიის ხუთი დეპუტატი შეკითხვით კანცლერ ბიულოვს გერმანიის ქვეშევრდომის რუსეთში სიკვდილით დასჯის შესახებ. «იურისტ.».

—

როგორც გაზ. ,,სპ.“-ს ანგარიშიდან ვტეობილობთ—რუსეთში ერთი სასწავლებელი საშუალოთ 1,507 მცხოვრებს უნდა გასწვდეს, ესე რომ 1000 კაცზე მოდის 36 მოწაფე.

—

გაზ. «ტორგ.-ბრ.გ.»-ში დაბეჭდილია: «ამ დღეებში გამოაქვეყნებენ ცნობას, რომელიც შეეხება ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას სახელმწიფო სათათბიროში არჩევნებისაგან დამოკიდებულ კითხვებში. ამას გარდა შუამდგომლობაა აღძრული, რათა დროებით გაუქმონ სანენზურო წესდების მე-140 მუხლი».

—

პეტერბურგის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას დაუდგენია: 1) სახელმწიფოს ცხოვრების წესიერ მიმდინარეობისთვის საჭიროა განსაზღვრულ იყოს უფლება კანონმდებლობისა, სასამართლისა და ადმინისტრაციისა, ყოველი ახალი კანონი ყველა წოდებისთვის ერთის წესით უნდა შემუშავებულ, განხილულ და დამტკიცებულ იქმნას. ყველა ხასუხის მგებელი უნდა იყოს სასამართლოს წინაშე. 2) სამინისტროები ერთგვარათ უნდა მოქმედობდენ, რადგან მათი გან-

კერძოებული და უპასუხისმგებლო მოქმედება მსავრობას ნდობას უკარგავს. 3) სამდვდელოება მჭიდროთ უნდა იყოს დაკავშირებული სამრევლოებთან და არჩევნები შემოიდონ. 4) სწავლა-განათლების საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ სწავლა ყოველ ახალგაზდისათვის ხელმისაწდომი იყოს, და ამ საქმეში თავისუფლება მიენიჭოს ერობას, ქალაქებს, სხვა და სხვა დაწესებულებებს, კერძო პირებს, რომ ყოველნაირ სასწავლებლის დაარსება შეეძლოთ. 6, ფართო ადგილობრივი თვითმართველობა უნდა იყოს ყოველგან და პასუხისმგებელნი მხოლოთ სასამართლოს წინაშე იყვნენ.

—

სადგომების დასჯა ვერძულულ წიგნების გავრცელებისთვის. 27 აგვისტოს პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში არჩეოდა დვინის პოლკის ორი სადგომის—ეკიმოვისა და პეტროვის—საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ მთავრობის საწინააღმდეგო წიგნაკების გავრცელება სადგომებს შორის. სასამართლომ ხსენებულ სადგომებს მიუსაჯა გადასახლება ყოველისავე უფლების ჩამორთმევით. («ს. ოტ.»).

—

ჟანდარმთა პოლკოვნიკის მოკვდა. 7 აგვისტოს, სადამოს 10 საათზე, ვარშავაში მოუკლავთ ჟანდარმთა პოლკოვნიკი ივანოვი, რომელსაც როცა თავის სადგომთან მისულა, შეუნიშნავს კარებთან რამდენიმე კაცი, მაგრამ ეურადღება არ მიუქცევია. ბოროტ-განმზრახველთ დაუშენიათ რევოლვერები, მძიმეთ დაუჭრიათ და მამალუდან. პოლკოვნიკი იქვე მომკვდარა. მკვლელნი ვერ დაუჭერიათ. («ბ. ვედ.»).

—

ყაზახთა მოქმედება. ტამბოვის სამკურნალოში ორჯერ მიუყვანიათ ყაზახ-რუსებისაგან ნატეხი დედაკაცები. ერთ ამათგანს შეუჩიენდია: 21 აგვისტოს მოვედი კაზდოვიდან და რკინის გზის დიანდაგზე მიმავალს მემეტენ ყაზახები, ჯერ ცალ-ცალკე მტეხეს და მერე გამაუპატიურესო. გოხება დაკარგული მთელი დამე თხრილში ვეგდე, დილით მოვძებნე პოლიცია და ვთხოვე სამკურნალოში წაყვანა. შემოწმებას მართლა ადმოუჩენია მათრახების ნიშნები. (ბ. გ.).

—

სამარის სამაზრო ერობის ეკონომიურ რჩევის კრებაზე, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო, გლეხებმა მოითხოვეს, რომ უპირველეს ყოვლისა აგრარიული საკითხი განიხილეთო. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს აუწყა, რომ ზამიატინი, რომელიც 7 თებერვლის კრებაზე თავმჯდომარეობდა, გაანთავისუფლესო.

—

13 სექტემბერს პეტერბურგში მოხდა სტუდენტების საბოლოო კრება, რომელსაც 2020 სტუდენტი დაესწრო. 1700 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 243 მიღებულ იქმნა რეზოლუცია, რომ უნივერსიტეტში სწავლა უნდა განახლდეს, კენჭის ყრაში 47 სტუდენტმა არ მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ საერთო ხასიათის რეზოლუცია შეიმუშავეს.

უცხოეთის ამბები.

ბელგია. როდესაც ბრიუსელში მარტირის და სასახლის მოედნებზე კლერიკალურ-ლიბერალური ბურჟუაზია თავის ბრწყინვალე დღეს დღესასწაულობდა, ბორინაჟის ერთ პატარა კომმუნაში (სოფელია)—ფრამერიში ბელგიის პროლეტარიატი თავისას დღესასწაულობდა და ორატორებს უსმენდა. როდესაც აქ, ბრიუსელის საკათედრო ტაძარში, კლერიკალების მღვდლები «Te Deum»-ს გალობდენ და ხალხს დღესასწაულის მნიშვნელობაზე ელაპარაკებოდენ, იქ ფრამერის სახალხო სახლში, ამ პროლეტარიატის ტაძარში, მუშა ხალხი „ინტერნაციონალს“ მღეროდა და ორატორები მას დღესასწაულის მნიშვნელობას უხსნიდენ; როდესაც იქ დიპლომატები-დელეგატები ბელგიის კლერიკალურ მთავრობას დღესასწაულს ულოცავდენ, იქ ფრამერში ყველა ქვეყნების პროლეტარიატის დელეგატები ინტერნაციონალური სოციალიზმის სახელით ბელგიის პროლეტარიატს სოლიდარობას უცხადებდენ. ბრიუსელიდან ფრამერიმდის საათ ნახევარის მანძილია და ნუ გაგიკვირდება, მკითხველო, რომ ერთ და იმავე დღეს ორივე დღესასწაულის ნახვა შეიძლებოდა. რას დღესასწაულობდენ ბრიუსელში? ბელგიის 75 წლის დამოუკიდებლობას, ან უკეთ 75 წლის ბურჟუაზიის ბატონობას. რას დღესასწაულობდენ ფრამერიში? პროლეტარიატის ერთ საუკეთესო მებრძოლის სახელის ხსოვნას. ვისია ეს ძეგლი, რომლის გარშემო ინტერნაციონალური წითელი ბაირაღები ნამდვილ უდაბურ ტყეს წარმოადგენენ?—„ალფრე დეფისოს—ხალხის დამცველს“—ვკითხულობთ ძეგლზე წარწერას. შეხედეთ ამ ძეგლს, სადაც გამოქანდაკებულია ღონემახდილი მაღაროს კედელზე მოწოლილი ქვანახშირის მუშა, რომელსაც დეფისო მკლავში ხელს კიდებს და ზევით აყენებს.

ალფრე დეფასსო (Depuisseaut) ხალხის ერთგული მეგობარი, მისი ინტერესების თავ-განწირული დამცველი იყო. მის სახელს ბელგიის პროლეტარიატი დე-პაპის (De-Paepe) სახელთან ერთათ ატარებს; ეს უკანასკნელი კოლექტივიზმის და ინტერნაციონალიზმს სულის ჩამდგმელი ბელგიის მუშათა პარტიის დამაარსებელი იყო. შთამომავლობით ბურჟუა, განათლებით იურისტი,—ხელობით ვექილი, შესანიშნავი პროპაგანდისტი, ძლიერი ორატორობის ნიჭის პატრონი ალფრე დეფისსო გამოვიდა თუ არა პოლიტიკურ მოღვაწეობის ასპარეზზე კლერიკალიზმის დაუძინებელი მტერი შეიქნა. მან კარგათ იცოდა, რომ პროლეტარიატის წელში გამწყვეტი კაპიტალიზმის გარდა კლერიკალიზმიცაა, რომელიც კაპიტალიზმის უკან ამოფარებულა. მასთან მან იცოდა, რომ კლერიკალიზმის ძლიერება იმ არანორმალურ პოლიტიკურ უთანასწორობაშია, რომელიც ბელგიაში არსებული არჩევნების სისტემითაა შექმნილი. როგორია პარლამენტისათვის არჩევნების სისტემა ბელგიაში? 1893 წლამდის არჩევნები მხოლოთ ქონებრივი ცენზით იყო, და ამნაირათ ბელგიის მუშა პოლიტიკურ სფერიდან სრულიათ განდევნილი იყო. 1893 წელს დემოკრატიის ზედგავლენით კლერიკალურმა მთავრობამ კონსტიტუციის რევიზია მოახდინა და ცენზიანი არჩევნების მაგიერ საყოველთაო, მაგრამ არათანასწორი არჩევნები შემოიღო ან, როგორც აქ ეძახიან „მრავლობითი ხმიანი“ (Le vote plural) ამ სისტემის პრინციპი მოკლეთ ამნაირია: მდიდრებს სამი ხმა—ღარიბებს ერთი. ამ სისტემით ყველა ბელგიელს, ქალებს გარდა, 25 წლიდან პარლამენტის არჩევნებში ხმა აქვს: ერთი

ხმისთვის ცენზი მოსპობილია, მაგრამ ცენზითვე დამატებითი ხმებია შექმნილი. მაგალითათ, ვისაც სოფელში პატარა ნაჭერი მიწა აქვს (ბელგიაში დიდი ნაჭერი მიწის მფლობელი ძვირათაა) და მაზე პატარა სახლი—სულ 2000 ფრ. ღირებული, მას ერთი ზედმეტი ხმა აქვს; ცოლშვილის პატრონსაც, როგორც ოჯახის თავს, ერთი ზედმეტი ხმა, არც დიპლომიანებია უყურადღებოთ დატოვებული და მათაც ერთი ზედმეტი ხმა. აქვთ, ცხადია, თუ ვისთვისაა ხელსაყრელი ამნაირი არჩევნების სისტემა. ქალაქის მუშა თვისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით მოკლებულია სოფლის ქონებასაც, დიპლომსაც და ხშირათ ოჯახის თავობასაც, ამისათვის ის მეტისმედ კაცათ არის აღიარებული, მას ერთი ხმა აქვს; სოფლის გლეხებს და ბურჟუებს—ორი ან ხშირათ სამი. კლერიკალურ მთავრობას ეგონა ამ ახალი სისტემით დემოკრატიის გული სამუდამოთ მოიგო, ნამდვილათ კი მან ამ ახალი სისტემით ახალი რეაქციონული ბარიკადა ააშენა. ქალაქები სოფლებს დაუმორჩილა; გონებით განვითარებულ, პოლიტიკური საქმეების კარგათ მცოდნე ქალაქის მუშებზე სოფლის უვიცი ფანატიკოსი გლეხები გააბატონა. ცხადია, თუ რისთვის ქნა ეს კლერიკალურმა ბურჟუაზიამ: ფლანდრიის ფანატიკოსს გლეხებზე კლერიკალურ მღვდლებს დიდი გავლენა აქვთ. ფლანდრია კლერიკალიზმის ბუდეა. ფლანდრიით კლერიკალიზმი ბელგიას ბატონობს.—ეს თვალთმაქცობაა, ეს უსამართლობაა, ძირს თვალთმაქცობა. გაუმარჯოს საყოველთაო თანასწორ და სხვა უფლებებსო! თქვა დეფისმა და მასთან მთელი ბელგიის პროლეტარიატი ამას იმეორებს. მან დაწერა შესანიშნავი „ხალხის კატეხიზმი"...

ი. მ.

—

გერმანია. (სოციალ დემოკრატების კონგრესი). ოთხშაბათს (7 სექტემბერს) მომხდარ სხდომის დასაწყისში ზინგერმა აცნობა კრებას, რომ ესსენში არჩევნებზე სოციალ-დემოკრატების კონდიდატისთვის მიცემული ხმების რიცხვი 6,000-ით მოიმატა ამათ წინ მომხდარ არჩევნებთან შედარებით. შემდეგ დაიწყო კამათი სოციალ-დემოკრატიის ფრაკციის მოქმედობაზე პარლამენტში. აქ შეეხენ ბევრ კითხვებს შინაგანი და გარეგანი პოლიტიკისას. მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომ შეტანილ იქმნას პარლამენტში კანონპროექტი მუშების შრომის შემცირებაზე ათ საათამდი და სამუშაო „პალატების" დაწესებაზე. დასასრულ განხილულ იქმნა კითხვა პირველ მაისის დღესასწაულობაზე, რის შესახებაც ფიშერმა შეიტანა შემდეგი რეზოლიუცია: «პირველი მაისის დღესასწაული არის მუშების კონგრესების მიერ დადგენილი დემონსტრაცია, რომელიც არის მიმართული კლასიურ მოთხოვნილებების და კლასიურ ბრძოლის დასაცველათ და ემსახურება საერთაშორისო მშვიდობიანობის იდეას, წარმატება ამ დემონსტრაციისა არის მიზანი ყველა პოლიტიკურათ და პროფესიონალურათ მომზადილი მუშებისათვის. როგორც კლასიურ დემონსტრაციას, პირველი მაისის დღესასწაულობას წინაღუდგება მთავრობა და კაპიტალისტები, მაგრამ ამან ვერ უნდა აიძულოს მუშები, რომ მათ უარი თქვან ამ დემონსტრაციაზე. თანახმათ **მუშების საერთაშორისო** დადგენილებისა პარიჟში 1889 წელს, ბრიუსელში 1891 წ., **ციურიხში** 1893 წ., **ლონდონში** 1896 წ., პარიჟში 1900 წ. და ამსტერდამში 1904 წელს, გერმანიის სოციალ-დემოკრატია მაისის დემონსტრაციის ყველაზე ღირსეულ ფორმათ სთვლის საყოველთაო შეწყვეტას მუშაობისას. ამიტომ კონგრესი ავალებს მუშებს და მუშების ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ პირველ მაისის დღეს მუშაობის საყოველთაო აკვეთას». ამ რეზოლუციის წაკითხვას მთელი კრება დიდი ტაშის ცემით მიეგება.

(ს. ო.

—

უნგრეთი. 2 სექტემბერს ბუდაპეშტში უშველებელი მანიფესტაცია მოახდინეს მუშებმა პარლამენტის გახსნის გამო. მანიფესტაცია საყოველთაო საარჩევნო ხმის შემოღების გულისათვის გაიმართა. მუშათა გროვა ყოველი მხრიდან აწვებოდა წინდაწინვე დანიშნულ ადგილისკენ, სადაც ნაშუადღევისთვის შეიკრიბა 30,000. მუშებს შემდეგი წარწერებიანი დროშები და ფარები მიჰქონდათ: „მოგვეცით ჩვენი საარჩევნო უფლება!" „ძირს მჩაგვრელები!" და სხვა. ხალხი თანდათან ემატებოდა. ახლო-მახლო სოფლებიდან ეთელი ოჯახობით მოდიოდენ მუშები და მანიფესტაციას უერთდებოდენ. მოისმოდა მარსელიეზის სიმღერა და ორკესტრის ხმები. შესანიშნავი წეს-რიგი იყო, თუმცა პოლიცია არ ჩარევია. პარლამენტის წინ, მოედანზე პოლიციელები დაემზადებიან მთავრობას, ცოტა მოშორებით ჯარიც კი იყო ჩასაფრებული; ყველა ქუჩები $^1/_2$ ვერსის მანძილზე პარლამენტის ირგვლივ მუშებით იყო დაფარული. 10 საათის შემდეგ, მუშები სრულიად შეგროვდენ, მანიფესტანტები მოედანზეც მიუშვეს. მთელი მოედანი დაიფარა მუშებით; მხოლოთ ორ ალაგას იყო დატოვებული გასასვლელი დეპუტატებისთვის.

მოკლე პასუხი ბ-ნ გ. რ-ს.

მკითხველს, ალბათ, ეხსომება, რომ „ცნობის ფურცლის" ერმა-აზროვანმა და შორს მჭვრეტელმა პუბლიცისტ-კრიტიკოსმა ბ-ნმა გ. რ—მ თავისებური რიხით გამოილაშქრა მოგზაურელების წინააღმდეგ. მისი აზრით ჩვენი აგრარული პროგრამა, რომელიც, სხვათა შორის, «ჩამონაჭრების» დაბრუნებას მოითხოვს—უფრო უპრინციპობის და ულოღიკობის ნაყოფია, ვიდრე სოციალისტური აზროვნების. „ჩამონაჭრების" დაბრუნება წვრილი მესაკუთრეებიის გამრავლებას ნიშნავს, რაც ეწინააღმდეგება მოგზაურელების ძირითად აზრს, რომ „გაპროლეტარება აუცილებელი პირობა თანამედროვე ცხოვრებიდან სოციალიზმისკენ გადასასვლელათ"-ო, გვამცნობს ზემოხსენებული პუბლიცისტი. ამაზე ჩვენ შევნიშნეთ, რომ ჩვენი აგრარული პროგრამის მიზანია გაანთავისუფლოს გლეხები ბატონ-ყმური დამოკიდებულებისაგან, ძირიან-ბუდიანათ მოსპოს სოფელში ფეოდალური ნაშთები და ხელი შეუწყოს მიწის კაპიტალისტურათ დამუშავებას და ინდუსტრიალურ წარმოების განვითარებას. ყველა ეს კი გაანვითარებს სოფელში მატერიალურ და ფსიხოლოგიურ პირობებს მომავალი სამართლიანი ცხოვრების დასამყარებლათ. ჩვენი აზრის დასარღვევათ ბ-ნმა გ. რ—მ მშვენიერი საბუთი მოიყვანა. მან „დაანახვა" მკითხველებს, რომ ჩვენი მოსაზრება ეწინააღმდეგება თვით მარქსის სიტყვებს და თავისი აღმოჩენით გახარებულმა, კმაყოფილებით წარმოსთქვა: „იმათი (ე. ი. მოგზაურელების) აზრით ისტორია თვითონ ქმნის წვრილ საკუთრე-

ბას და თვითონვე ანადგურებს შემდეგ ამას. წინააღმდეგობა ნამდვილათ თვითონ ისტორიული პროცესის თვისებაა. ფეოდალური ექსპლოატაციის გაუქმება ქმნის გლეხთა წვრილ მესაკუთრეობას, რომელსაც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება დაამხობს, ე. ი. უარყოფს შემდეგშიო (ცნობ. ფ. № 2900)... აქ ჩვენ უადგილოთ მოგვაჩნია—განაგრძობს გ. რ.-დიალექტური მეთოდის შესახებ კამათის გაბმა მოგზაურელებთან. ჩვენთვის სრულიათ მაკმარისია ვიცოდეთ, მართლა აუცილებელია წვრილ მესაკუთრეობის გაძევება ფეოდალიზმის შემდეგ თუ არა. თუ აღმოჩნდა, რომ წვრილი მესაკუთრეობა ისტორიულათ საჭირო არ არის. თუ აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტური წარმოება, ან უკეთ რომ ვთქვათ პროლეტარიზაცია შესაძლოა პირ და პირ მოხდეს ფეოდალიზმის გაუქმებასთან, მაშინ ცხადია, ჩვენი მოგზაურელების თავშესაფარი დაინგრევა და ჩვენგან წინანდელ წერილში ნაჩვენები წინააღმდეგობა ისევ წინააღმდეგობათ დარჩება". (idid) „მოგზაურელების" „თავშესაფარის დასანგრევათ" ჩვენ ავტორს მოყავს შემდეგი ადგილი კ. მარქსის „კაპიტალიდან": „კაპიტალისტური სისტემის ნიადაგი არის რადიკალური განკერძოება მწარმოებლისა წარმოების იარაღებისაგან... მშრომელი, პირდაპირი მწარმოებელი რომ შეიქნეს თავისი პიროვნების პატრონათ, (რაც აუცილებლათ საჭიროა შრომის გასაყიდათ, ურომლისოთაც კაპიტალიზმი ვერ დამყარდება) აუცილებლათ ის ჯერ მიწას უნდა იქნას მოშორებული ანუ განთავისუფლებული უნდა იქნას ფეოდალური დამოკიდებულებისაგან... მეორე მხრივ ეს განთავისუფლებულნი იმ დრომდე არ ხდებიან თავისი თავის გამყიდველათ, ვიდრე მათ სრულიათ არ დაუკარგავენ საკუთარ წარმოების იარაღებს და არ მოუსპობენ არსებობის იმ გარანტიებს, რომელთაც შეიცავდა ცხოვრების ძველი წესები... დასაბამი ამ განვითარებისა რომელიც ერთსა და იმავე დროს შეიცავს მოქირავე მუშის და კაპიტალიზმის წარმოდგომას, არის მშრომელი ხალხის მონობა; პროგრესი მდგომარეობს იმაში, რომ იცვლება ფორმა მონობის, მყარდება ნაცვლად წინანდელი ფეოდალური ექსპლოატაციის ექსპლოატაცია კაპიტალისტური. (კურსივი გ. რ—სია).

არღვევს რა ასე ადვილათ თვით მარქსის სიტყვებით ჩვენს მოსაზრებას, ძლევა მოსილი ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს: „თუ მოგზაურელები ისტორიულ მიმდინარეობის დაჩქარებას ემსახურებიან—უეჭველათ ლოღიკამ უნდა აიძულოს ისინი გლეხების გაპროლეტარება აღიარონ პროგრესიულ მოვლენათ, და გლეხების წვრილ მესაკუთრეთ გადაქცევა, ვინაიდან მოგზაურელები მარქსის კრიტიკას არ მოისურვებენ".

ბ-ნ გ. რ. კმაყოფილია. მან მიაგნო ჩვენი მსჯელობის სუსტი მხარე და მარქსის სიტყვებით გაანადგურა ჩვენი აგრარული პროგრამა. ჩვენ მარქსის სიტყვებს კრიტიკულ თვალით ვერ შევხედავთ და, ვინაიდან ჩვენი აზრი მარქსის აზრს ძირიანათ ეწინააღმდეგება—მაშ დაგვრჩენია მხოლოთ ჩვენი შეუნდობელი შეცდომა ვაღიაროთ და ჩვენი აგრარული პროგრამა ყოვლად უსუსურათ გამოვაცხადოთ. მაგრამ ნუ აჩქარდებით, ბ-ნ გ. რ.!

ბ-ნ გ. რ—ი მოყავს მარქსის სიტყვები, მაგრამ, სამწუხაროთ, კაპიტალიდან ამოწერილი ადგილები არ შეეხება საკამათო საგანს. მართლაც, რაზე—ლაპარაკობს მარქსი ზემოთ მოყვანილ ამონაწერში? აშკარაა, რომ მარქსი სრულიადაც არ ეხება აგრარულ პირობებს, არამედ იკვლევს ამ ისტორიულ პირობებს, რომელშიაც წარმოიშვა კაპიტალიზმი ინგლისში. ჩვენ კაპიტალიზმის წარმოებაზე კი არა გვაქვს ლაპარაკი, რადგან კაპიტალიზმი რუსეთში, როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფელშიაც უკვე არსებობს, არამედ კაპიტალიზმის განვითარების დამაბრკოლებელ პირობების მოსპობაზე. ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ მარქსის მიერ აღიარებულ აზრს, რომ ფეოდალური ექსპლოატაციის კაპიტალისტურ ექსპლოატაციათ გადაქმნა პროგრესიული მოვლენაა, მხოლოთ ვამბობთ იმას, რომ მეურნეობაში ეს მოხდება იმ სახით და საშვალებით, რომელიც აღნიშნულია ჩვენ აგრარულ პროგრამაში; რომ გლეხების გაპროლეტარება და საკუთრების კერძო პირების ხელში გადასვლა **ყოველთვის** და **ყოველ ალაგს** ბადებდეს კაპიტალიზმს, მაშინ თვით ძველი რომი აღარ გადაიქცეოდა გახრწნილების ბუდეთ და არ ჩაუვარდებოდა ხელში ბარბაროსულ გერმანელებს, არამედ კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანათ გახდებოდა. გლეხთა საყოველთაო პროლეტარიზაცია რუსეთში კაპიტალისტურათ კი არ გადაქმნის მეურნეობას, პირიქით, კიდევ უფრო გააძლიერებს ფეოდალურ ნაშთებს, რადგან გააიაფებს მუშა ხელს და ამიტომ მემამულე სრულებით აღარ იქნება დაინტერესებული გაუმჯობესებული იარაღების შემოღებაში და სასტიკ პირობებში გადასცემს მიწას გლეხებს იჯარით. ამ შემთხვევაში პროლეტარიზაციას პროგრესიული კი არა, რეაქციონური ხასიათი ექნება.

მოუსმინოთ, რას ამბობს აგრარულ საკითხის საუკეთესო მცოდნე კ. კაუცკი: «მრავალ-რიცხოვან გამრჯე შთამომავლობის აღზრდისათვის საჭირო საუკეთესო პირობები არსებობენ მხოლოთ ისეთ წვრილ მესაკუთრეთა შორის, რომელნიც დამოუკიდებელ ოჯახს დამოუკიდებელ სამეურნეო წარმოებასთან აერთებენ. ასეთ მესაკუთრეებს არა თუ არ აკლიათ, ჰარბათ მოეპოვებათ კიდეც სამუშაო ძალა. ეს ზედმეტი სამუშაო ძალა ვერ შოულობს ალაგს საკუთარ მეურნეობაში და მსხვილ წარმოებას უვარდება ხელში» *).

სწორეთ ამ ფაქტმა მისცა საბუთი კ. მარქსს თავის ორგანო „Neue Reinische zeitung"-ში წამოეთქვა შემდეგი აზრი: **საფრანგეთში უკვე დაიწყო დაჭუცმაცებული მიწების კონცეტრაცია, — მაგიერათ ინგლისში მსხვილი მიწათმფლობელობა წინანდებური სისწრაფით ნაწილდება ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ, სანამ ბურჟუაზიული ურთიერთობა არსებობს მიწათ-მოქმედება მუდამ ასე ცვალებად პირობებში იქნება, ე. ი. ხან დანაწილდება და ხან კი ერთათ მოიყრის თავს** **). თუ რომ ბ. გ. რ. კეთილ ინებებს და ამ სიტყვებს ყურადღებით წაიკითხავს, მაშინ იგი

*) К. Каутскій, Агр. вопр. გვ. 136.

*) Каутскій, Агр. вопросы, 137—138.

დაინახავს, რომ მისი ძახილი იმის შესახებ, თითქო წვრილ მესაკუთრეთა გამრავლება ყოველთვის ეწინააღმდეგება ისტორიულ პროგრესს სრულებით უსაბუთოა

კ. მარქსის ისტორიულ დანიშნულებას შეადგენდა სოციალისტური მოძღვრების მკვიდრი მეცნიერული ნიადაგზე დამყარება. მხოლოთ ამისათვის კი აუცილებლათ საჭირო იყო თვით დღევანდელი კაპიტალისტური ცხოვრების გამოკვლევა, მისი ავათმყოფობის დიაგნოზი, მისი ისტორიული მიზეზების ახსნა, აგრეთვე აღნიშნვა მისი მიმართულების, ტენდენციების და აქედან კი პროგნოზი მომავალის. სოციალიზმის მეცნიერებათ გადაქცევა ნიშნავს მომავალი ცხოვრების ნადაგის აღმოჩენას თვით დღევანდელ ბურჟუაზიულ ურთიერთობაში. აი სწორედ ეს დანიშნულება შეასრულა მარქსმა თავის „კაპიტალში“. როდისაც კი ის შეეხო კითხვას კაპიტალიზმის წარმოშობის შესახებს მან ახსნა იმ თავში, სადაც ეგრედ წოდებულ პირველ ყოფილ აკუმულაციაზეა საუბარი, მხოლოთ აუცილებელი პირობები ამ წარმოშობის— რადიკალური განცალკევება წარმოების სუბიექტივური და ობიექტიური ფაქტორების ერთმანეთისაგან. უკანასკნელების შეგროვება კერძო არა მწარმოებელთა ჰირების ხელში და ამნაირათ გამოსვლა ბაზარზე ორი კონტრაგენტის: შრომის გამყიდავი პროლეტარის და მისი მყიდველი კაპიტალისტის. მაგრამ ეს პროცესი ყოველ ალაგს და წარმოების ყოველ დარგში ერთნაირათ როდი ხდება. მარქსს კი მხედველობაში აქვს ინგლისი და, როგორც სჩანს მისი წერილიდან სალტიკოვის მიმართ, იგი მთელი ქვეყნიერების ისტორიას არ სწერდა. მხოლოთ მისი აზრით, როცა რომელიმე სახელმწიფოში ფეხს შეადგამს კაპიტალისტური წარმოება, მაშინ ის უნდა დაექვემდებაროს ყველა იმ კანონებს, რომელიც „კაპიტალშია“ გამოთქმული. როდესაც ნიდერლანდებში გაიხსნა ბაზარი მატყლისათვის, მაშინ ინგლისელ ლორდებმა უფრო ხელსაყრელათ დაინახეს ცხოვრების გაშენებისთვის მოეკიდათ ხელი, გაეძევებიათ გლეხები და მათი ოფლით მორწყულ ადგილზე და ქოხების ნანგრევებში პირუტყვი დაებინავებიათ. ბოგანო ქცეულ მუშების ერთ ნაწილმა მაწანწალობას მიყო ხელი. ამათ მთავრობა დრაკონისებურ კანონებით ებრძოდა. ზოგნი მწყემსებათ დარჩენ ლორდებთან და სხვანი კი მიაწვენ ქალაქებს, სადაც დაუხვდა მათ ცეცხლით და მახვილით მოპირებული და ცოცხალი ადამიანის სისხლი მწყურვალე კაპიტალი. შეიძლება თუ არა მარქსის მიერ დახატულ ასეთ ისტორიულ სურათიდან გამოიყვანოს ადამიანმა ის უცნაური ლოგიკური დასკვნა, ვითომც დღევანდელ მიწათმოქმედების კაპიტალისტურ ნიადაგზე დაყენებისათვის ჩვენში აუცილებლათ საჭიროა პროლეტარიზაციაო? ასე ცდილობს ბ-ნი გ. რ. ჩვენს პროგრამაში წინააღმდეგობის აღმოჩენას, ასე ცდილობს გაგვყაროს ჩვენ და მარქსი ერთმანერთს. მისი მეცადინეობა ამ ნიადაგზე ფუჭია და მისი წერილი ბევრს ვერაფერს შემატებს ჭართულ პუბლიცისტურ ლიტერატურას.

ვ. ემუხვარი.

(ხმა სატ.-დან.).

ყოველთვინ განმათავისუფლებელ მოძრაობის ღრმა წყალს მოყობენ თავს ბნელი ძალები და ყველა მათგანი ცდილობს წყალი აამღვრიოს და მეტი საკბილო იგდოს ხელში. ამ საზოგადო კანონს ვერც ჩვენი მხარე აცდებოდა: მოიგონეთ განთქმული თოლორდავას პარტია სამეგრელოში და ,,დოხტური'' თავის მცველებით გურიაში. ეს ვაჟბატონები დროს შესაფერი მელაკუდური ყნოსვით არიან დაჯილდოვებულნი, იციან ხალხის სუსტი მხარე და მაინცა და მაინც ამ სუსტ ძარღვს დააჯდებიან წურბელასავით და წუწნიან. ზოგი კამიტეტის და ზოგიც ,,პოლიტიკური დამნაშავის'' სახელით ჯიბეს იყენენ და მალაყებს გადადიან, მაგრამ ასეთ ჯანბაზობას არ შეუძლია დიდ ხანს აარსებოს: თოლორდავა, როგორც ვიცით, ალაგმეს. ბატონი ,,დოხტური'', რომელიც გურიაში გაბატონებულა ასეთი მასკით გამოცხადდა: მე ექიმი ვარ საზღვარ გარეთ ნასწავლი, პოლიტიკური დანაშაულობა მეღება ბრალათ და ამიტომ ჩემს ვინაობას ვერ გავამხელ. ავათმყოფის გასინჯვაში არაფერს ავიღებ, ოღონდ წამალი მე უნდა მოგცეთ, რადგან რეცეპტზე თუ ხელი მოვაწერე და თქვენ გაგატანეთ, ხელათ დამიჭერენ, რადგან სასტიკათ დამეძებენო. საკმაო იყო ასეთი კუდის ქიცინი, რომ პირველშივე ხალხის სიმპატია დაემსახურებია—მერე ,,პოლიტიკურ'' ზეწარში გახვევა! ,,დოხტური'' სოფელში! ეს ხომ იმათი მაგალითია. ამ ცრუ ექიმის შესახებ წაიკითხეთ წერილი ,,ცნ. ფურ. მე 2897 №-ში, ,,სანდრო დარახელია! თო ჯიმაღურელი! იმან მთელი სამეგრელო და ოჩემჩირის მხარეები გააჯერა! გრიშა კანდელაკთან—ფერშანთან იყო მუდამ სვამდა, კარტს თამაშობდა და დოხტურობას ვსწავლობო გაიძახოდა. ცოლშვილიცა ყავდა იქ. დარახელიას დოხტურობას კარგათ გამოაშკარავებს დრანდაში მყოფი მეაფთიაქე ივანე ბურჭულაძე. აი ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა სანდრო დარახელიას საგმირო საქმეების აწერამ. ნუთუ ბატ. მასწავლებელი ჩხატარაიშვილი კიდევ გადააფარებს კალთებს. საჭიროა ღირსეული სასჯელი მიენიჭოს ღირსეულ მატყუარას.

N.

ვანო მაღრაძის ხსოვნას.

კიდევ სიკვდილი, კიდევ მსხვერპლი! 25 აგვისტოს „ავაზაკებმა“ მოკლეს მასწავლებელი ვანო მაღრაძე. ვინ იყო ეს უსამართლობის სხვეპლი? ვანო იყო ერთი იმათთაგანი, ვისაც წყვდიად ღამეში შეაქვს სინათლის შუქი; ვისაც შეუგნია დღევანდელ ცხოვრებაში დაკანონებული უსამართლობა და ვისაც გამოუცვნია თუ ვის აწევს მთელი თავის სიმძიმით ეს უსამართლობა, ვისაც თავის წმიდა საქმეთ ტვირთ მძიმის (მშრომელის) განთავისუფლება დაუსახავს. აი ვინ იყო ვანო, აი რას ემსახურებოდა იგი. ემსახურებოდა შეუდრეკლათ, თავგანწირულათ. ვანო დაიბადა 1880 წელს ღარიბ გლეხის ოჯახში. გონების სიმკვირცხლე მას პატარაობიდგან ეტყობოდა. 16 წლის ვანო ღარიბმა მამამ სამასწავლებლო სემინარიაში მიაბარა. პირველ ხანებში აქ ის თავისი სულის სიძლიერეს ვერ იჩენდა. მაგრამ როცა იგი გაეცნო ცხოვრებას, ის შეურიგებელი მტერი შეიქნა სკოლის დისციპლინისა კერძოთ და სა-

ზოგადოთ ბიუროკრატიული რეჟიმისა. კარგათ მახსოვს, რომ პატარა ვანო დიდ აურ-ზაურს აუტეხდა თავის ბიუროკრატ-მასწავლებლებს, მოსვენებას არ აძლევდა ძველი-დახავსებული წესების მიმდევარ ყურ-მოჭრილ მოხუცებს. ერთი სიტყვით, მის დროს მთელი სემინარია მისით იყო ცოცხალი. ვანოს არ აკმაყოფილებდა სკოლის ცხოვრება, ის რო-გორც გალიაში დამწყვდეული ჩიტი, ისე ასკდებოდა სემინარიის კედ-ლებს, მაგრამ გასავალს ვერსად პოვებდა; ის ამჩნევდა რომ მას სული-ერი საზრდო ესაჭიროებოდა, და ეს წყურვილი არ აძლევდა მოსვენე-ბას შმაგ ვანოს, იგი მუდამ „აღრინებული“ მუდამ უკმაყოფილო იყო და არ იცოდა, როგორ ჩაქრო ეს თავის უკმაყოფილობა. 1901 წ ვანომ დაამთავრა სემინარიის კურსი და მას საშუალება მიეცა თავისუ-ფლათ ეცხოვრა. გაეცნო დღევანდელ მოძრაობას და აქ საპატიო ალა-გი დაიკავა. ის აღფოთოვანებით, ყმაწვილური იმედებით და შეურყეველი რწმენით ეწვია სოფელს, მოევლინა მასწავლებლათ სოფლის გლეხობას. პირველათ ის სოფ. რუისში (გორის მაზრა) იყო დანიშნული მასწავლ ე-ბლათ, სადაც 3 წელიწადი დაჰყო. ვანოსთვის არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება, ის, როგორც ლომი, ისე არღვევდა ყოველ დაბრკოლებას და მიეშურებოდა წინ და წინ. იმას სურდა სასწაული მოეხდინა და სწრაფათ წამოეყენებია ფეხზე საუკუნოებით დამონავებული და დაბეჩა-ვებული გლეხობა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი გამოდგა, როგორც მას ჰგონდა წარმოდგენილი: მას ათას გვარი დაბრკოლება ელობებოდა წინ-ამ გარემოებამ ისე ცოტა არ იყოს, მოშალა, ერთგვარი დაღი დასვა. მის ცხოვრებაზე—სულით ობლობას მიაჩვია და ეს ობლობა, რომ მ ო ეშორებინა თავიდან ვანო ცოლს ირთავს (მელო გორგაძე). 1904 წ ვანო გადაიყვანეს ბეჟათუბნის სკოლის მასწავლებლათ—აქ კი ვანო ხელახლა აღდგა. აქ ყმაწვილურმა გატაცებამ კვლავ იჩინა თავი და ის უფრო ფართოთ ღა გაორკეცებული იმედებით შეუდგა ხალხის საქმეს. მისი ამხანაგი—მელო არ გამოდგა ზოგიერთი ქალების მგზავსი და შეძლების-და-გვარათ შემწევნობას უწევდა თავის ძვირფას ამხა-ნაგებს ხალხის საქმეში. ეს შემთხვევა ხელს უწყობდა ვანოს და რამდენიმე თვის განმავლობაში მან სსუცხოო ნდობა მოიპოვა საზო-გადოებაში. სოფლები სიხარულით მიეგებენ თავის ნამდვილ მაწავლებე-ლს და პატივის-ცემით უსმენდენ იმის. ეს სკოლაში მაცადინობის დროს... მაცადინობა რა კი შეწყდა სკოლებში (12 მარტი 1905 წ.) ვანო განკერძოებით ხალხის საქმეს შეუდგა და უკანასკნელ წამამდის არ შეჩერებულა ის ამ წმიდა გზაზე. აი ასეთი იყო ის პატარა ვანო, რომლის ხსოვნა დიდ ხანს იქნება ხალხში.

გ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ შემთხვევას. ამ წლის 6-ს მარიამობისთვეს, მე როგორც ფერშალი, მიწვეული ვიყავ სოფ. კვაცხუ-თში (რაჭის მაზრა) მღ. გორდეზიანთან, სადაც ვაქიმობდი მისს ნათე-სავს. ზემოხსენებულ დღეს დღესასწაულობენ ფერის ცვალობას და დი-დძალი ხალხი იკრიბება. ავათმყოფის გასინჯვის შემდეგ, მასპინძელმა აღარ გამიშვა და სადილზე მიმიწვია. გორდეზიანის სტუმართა რიცხვ-ში, სხვათა შორის იმყოფებოდა სოფ. თაბორის (ლეჩხუმის მაზ.) მღ, არ. ბოჭორიშვილი, რომელმაც ამ ორი-სამი წლის წინეთ დიდი შეურაცხ-ყოფა მომაყენა. მაგრამ ხსენებულმა გვამმა ეს აღარ მაკმარა. 6 აგვის-ტოს მან ჯერ სიტყვიერათ მომაყენა შეურაცხყოფა („მომშორდი შე საბიზღაროო!“) და შემდეგ მოქმედებითაც: მომისია კაცები და ზოგმა ჯო-ხით, ზოგმა მათრახით და ზოგმა ხელით მთელი ორი საათის განმავლობაში იმდენი მცემეს, რომ თითქმის უგრძნობლათ გამხადეს. მღვ. ბოჭორი შვილი კი ამ დროს გაიძახოდა: ცემეთ მაგ ჯაშუშსო.

ჯი ასე, სრულებით უმიზეზოთ, გამათახსირა მღვდ. ბოჭორიშვილ-მა და ეხლა მას ამ წერილით ვიწვევ სამედიატორო სამართალში, რათა დამიმტკიცოს საქვეყნოთ თუ მართლა „ჯაშუშ“ ვარ, და თუ ღირსი ვიყავ ისეთ ნაირათ მომქცეოდენ. ვთხოვ გ. ბოჭორიშვილს ამოირჩიოს თავის მხრით რამოდენიმე მსაჯული და მეც ჩემი მხრით დავნიშნავ ერთს ან ორს მედიატორეს.

ამბროლაურის საავათმყოფოს უფროსი ფერშალი **მალაქია გიორგობიანი.**

—

ბ. რედაქტორო, გვთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წე-რილს „მოგზაურში“. ოდეს ცხრა მარიამობისთვეს თეიდასის სახ-ჯოს შენობაში სასიკვდილოთ დასჯეს ჰანტელეემონ თალაკვაძე, რომელიც გარდაიცვალა ორ სექტემბერს მისეიდის საავთმყოფოში. მისმა სიკვდილმა დიდათ შეგვაწუხა ყველა მისი ამხანაგები და ნა-ნობები. ამასთანავე თანაგრძნობას უცხადებთ ამხანაგი ჰანტელეემო-ნის გარდაცვალების გამო მის მშობლებსა და მონაწილე ვართ მა-თი მწუხარებისა.

ამხანაგების მინდობილობით ვასილ სამოანის ძე **წუქაიშვილი.**

—

По опредѣленію Кавк. Цензурнаго Комитета 6 сентября 1905 г. настоящее опроверженіе подлежитъ, на основ. 139 ст. Уст. Ценз., обязательному напечатанію въ жур. „Могзаури“ съ исключеніями.

Предсѣдатель Комитета *Гакель*.

წერილი რედაქციის მიმართ.

(ერთი უცნაური „ბოიკოტის“ გამო) *).

მე და ასლ. კალანდაძემ საერთოთ იჯარით ავიღეთ ესტ. გაბაშვილისაგან მამა-დავითის მთაზე ყოფილი რესტორანი „განდეგილი“, რომლის გადაკეთებასა, მოწყობაში და გაშე-ნებაში ფული უნდა გაგველო თვითეულს ჩვენთაგანს, ხოლო ასლ. კალანდაძემ თავის წილად იანვრამდინ შემოიტანა სა-ერთო კასაში ხუთას მანეთამდე, მერმე თვითონ სადღაც მიი-მალა და მარტოთ მარტო დამტოვა. რაღა თქმა უნდა მე იძულებული გავხდი უკვე დაწყებული საქმის დასასრულებ-ლათ ფული მეშოვნა ზოგი სესხით, ზოგიც მეგობრებ-ნაცნო-ბებში და ამ რიგათ რის ვაისა და ვაგლახით ნაკისრი შენო-ბა დავასრულე. როცა საქმე ცოტათ თუ ბევრათ მოვაწვე, პა-ტენტი ავიღე და ვაჭრობა დავიწყე. უეცრათ საიდღამაც გა-მოცხადდა ასლ. კალანდაძე და ვითარცა „ამხანაგმა“ მოგე-ბის ნახევარი მომთხოვა... მე სიხარულით მივეგებე გზა და კვალ დაკარგულ „ამხანაგს“, აბა უარს, როგორ ვეტყოდი საამხანაგო წილში: და მაშინათვე სჩოტები გადავეცი კვირ-კველიას და ხუნდაძეს საანგარიშოთ და დათანახთა. ინებე, შენი ჭირიმე ანგარიშები, გადასინჯე და თუ „ამხანაგი“ ხარ უნდა მიამხანაგო კიდეც, როგორც გასავალში, ისე ხარჯში, როგორც მოგებაში ისე ზარალში-მეთქი. ძრიელ ეუცხოვა

*) იხილე „მოგზ.“ № 33.

ჩემი სამართლიანი პასუხი ას. კალანდაძეს; გახტა და გამოხტა, რას მიქვიან ხარჯი, ძალმომრეობა მომინდომა და კინაღამ სისხლი დაიღვარა, მაგრამ ღმერთმა უშველოს იმ დროს იქ დამსწრე ესტ. გაბაშვილს, რომელმაც უბედურება აგვაცდინა და ორთავეს გვირჩია ჩვენი სადავო საქმე მედიატორთა სასამართლოსთვის გადაგვეცა. ჩვენც ამაზე დავყაბულდით, მაგრამ მე მაინც ვამჯობინე ეს ჩვენი ორთავეს თანხმობა ქაღალდზე აღგვენიშნა, რომ ვინც უარს იტყოდა სამედიატორო სამართალზე ან არ დაემორჩილებოდა მის განჩინებას, ცხრაასი მანეთი გადაეხადნა და ამ ქაღალდზედ ორთავემ ხელი. მოვაწერეთ. ამის შემდეგ ავირჩიეთ სამ-სამი კეთილსინდისიერი კაცი და ამათ ამოირჩიეს თავმჯდომარეც და შეუდგენ საქმეს. შუა-კაცებმა ბევრი ჩხრეკისა და ძიების შემდეგ თავიანთი დადგენილება გამოგვიცხადეს და ორთავეს ხელის მოწერა გვთხოვეს; მე, თუმცა ბევრი ჩემ საზარალოთ იყო გადაწყვეტილი, მაინც, რადგან პირობის ქაღალდი მავალებდა, ხელი მოვაწერე და თანხმობა გამოვაცხადე განჩინებაზედ, ხოლო ას. კალანდაძემ უარი და უთანხმოებაზე მოაწერა ხელი.., ასე სასაცილოთ და სამარცხვინოთ გაათავა ას. კალანდაძემ თვის მიერ მოწონებული მედიატორეთა განჩინება. მას შემდეგ ძალმომრეობით და მუქარით მომინდომა დაბეჭავება და დაჩაგვრა, მაგრამ იმის მუქარას ჩემი სამართლიანი ღონე დაუყენე წინ, და რა თქმა უნდა ვერას ვახთა. მერმე მე წინადადება მივეცი, რომ ორი იურისტი ამოგვერჩია და მათთვის მიგვენდო საქმე გადასაწყვეტათ, მაგრამ ამაზე უარი მტკიცა. რომ არ იყაბულა დავით გაბაშვილს, მამულის პატრონს. მედიატორობა ვთხოვე, მაგრამ არამც და არამც არ ინდომა რომ საქმე სინდისიერათ გაგვეთავებინა. ეთხელ, ამ საქმეზედ დასნეულებული, მე, ავათმყოფობისა-გამო, სავაჭროში არ ვიყავი და შინ ვიწექი, ჩემი «ამხანაგი» ას. კალანდაძე, 9 ივლისს, ამოსულიყო რესტორანში, თან ამოეყვანა სასამართლოს ბოქაული და ხუთიოდე თავის ისგავსი «წმიდა კაცები» და ბოქაულისათვის რესტორანი დაუბეჭდინებია. ეს საოცარი ოინი და თვალთმაქცობა ასე მოუჭახრაკებია: რესტორანი თავის საკუთრებათ უჩვენებია ბოქაულისთვის, ხოლო ვითომდა ცოლის ვალი მართებოდეს აღმასრულებელის ფურცლით და ბოქაულსაც იმის ცოლის ვალის უზრუნველსაყოფელათ ჩემი რესტორანი დაუბეჭდია. ბიჭებმა მაცნობეს ეს ამბავი, სიზმარი მეგონა. მაშინათვე ვეცი სასამართლოში, ყველაფერი საბუთები ავუხსენი და როგორც იქნა დიდის ვაი-ვაგლახით ერთი კვირის შემდეგ გავახსნევინე ბოქაულს ჩემის ფულით და ოფლით გაღებული რესტორანი... იმ ერთი კვირას ზარალს და უსიამოვნებას ვინღა ჩივის, იმას თქვენი ჭირი წაეულია.

ამის შემდეგ რაები არა ქნა ას. კალანდაძემ, რა ოინები, ფოკუსები, ავკაცობა არ ჩაიდინა, მაგრამ ღვთისით ყველა ფერს ვუძლებ დღემდე, რადგან არ მინდოდა უფრო სასტიკი ზომებისთვინ მიმემართნა. ბოლოს ბ-ნო, როგორც თქვენ უწყით, «ბოიკოტის» წერილი შეთხუზა და ვიღაც, ვითომდა ვაჭრებისათვის ხელი მოუწერინებია, ესეთ ყოფაში ვარ ბ-ნო რედაქტორო ჩაყენებული ჩემის „ამხანაგის“ ას. კალანდაძისაგან და დღემდის ვერას გზით, ვერც სამეცნიერო და ვერც სხვა რამე საშვალებით თავი ვერ დავაწყვე-ცოლ-ქმრები იყრებიან, შავ-პირს იშორებენ და მეკი ვერაფერი მეშველება და ას. კალანდაძე ვერ მოვიშორე. მერე, ნეტა, არ იტყვი რისთვის ვიწვნიე ემოდენი უსიამოვნება, ემოდენი შეწუხება და თავ-პირის მტვრევა? მისთვის რომ ვენდე და ვიამხანაგე უცნობი კაცი. ამას შემდეგ თვითონ თქვენ გასინჯეთ ბ-ნო რედაქტორო, ღირსი ვიყავი ასეთი „ამხანაგობის“ გულისათვის „ბოიკოტის“ გამოცხადებისა თქვენს გაზეთში თუ არა!

დასასრულ არ შემიძლია არ გამოვსთქვა ჩემი გულითადი ნატვრა იმის შესახებ, რომ ამ დიდებულსა და საერთო განათლების დროს მწერლობამ, ვითარცა უზენაესმა სამჯავრომ, მეტი მიუდგომლობა გამოიჩინოს ხოლმე და ხულიგანებს პატიოსან კაცთაგან არჩევდეს. რათა ცუდსა კაცსა, ცუდი საქმის ჩადენა არა თუ ემარჯვებოდეს,—ეშინოდეს და თავზარსა ცემდეს. ეხლანდელი დრო თავზე ხელაღებულ და შუბლგარეცხილ ვაჟბატონების სათარეშო კი არ უნდა იყოს, არამედ მათი დასაგმობი და გასაკიცხავი უნდა გახდეს, თორემ განათლდებიან, გაღონიერდებიან «ბნელი ძალები», რაიცა ქვეყანას ვნებას და ზიანს მოუტანს, მხოლოთ პატიოსნებას შეაკიცხავს და შელახავს.

დიმიტრი ხუნდაძე.

—

მუშაკი-მოღვაწე ბევრს რამე სასარგებლოს ეპაკეთებდა მამულისათვის, რომ მას ხელს არ უშლიდეს და დუკმა ბერს ბერისგან არ გლეჯდეს მისი მოძმე. ოცდა ორი წელიწადი ვმღერიდი ოპერაში, ბერგულ რიგებს სუკეთესო გერმანის, ამერიკის და რუსეთის სცენებზე, მერე შეუდეგი ქართული ზეპირი მუსიკის წერას და ოთხმოს უსასუიდლოთ გადავიდე ნოტებზე 1751 ცალი. ვასწავლიდი ახალგაზრდობას ქართულს და ევროპულ მუსუკა-სიმღერას, მაგრამ შურმა და მტრობამ აქაც ამოყო თავი. ერთს ჩემს მოსწავლეთაგანს ბ. ნიკოლოზ ზებელს ძე ცხვეთაძემ ურჩია ქორაქესთან ნუ სწავლობ, ის ურუ არის, სმენა არ აქვსო, რატომთან ისწავლეო. ვინ წარმოიდგენს იმას გარდა მართლაც ერუისა, რომ ხანგრძლივი მოღვაწე სცენისა და დამწერი მრავალ რიცხოვან ზეპირი მუსიკისა ერუ იყოს. ამისათვის შევეკითხე წერილით ცხვეთაძეს: ვინ ანუ რამ აიძულა ის ჩემი სმენის შებღალვა-დამცირებისათვის. მან წერილით მაცნობა: მე თვითონ შეგამჩნიე, რომ სმენა გაკლიაო. წინეთ ამ ცილისწამებისა, წერა-კითხვის სასარგებლოთ კონცერტს ამზადებდნენ და მომღერლებს ეძებდენ. ბ. ცხვეთაძეს ვთხოვე ნება მიეცა ორ ჩემ მიერ მომზადებული მომღერლებისათვის კონცერტში მონაწილეობის მიღებისა თუ ისინი აღმოჩნდებიან დირსნი შემდეგ შემოწმებისა მცოდნე ბერებთაგან მათი ხმებისა და სიმღერისა ქართულათ და იტალიანურათ. ცხვეთაძემ მაშინვე მათი გვარები მკითხა, გვარები იყო იმერისა... კარგიო მითხრა, მაგრამ ეს კარგი ვინ გარდაქმნა: მე ერთ მომნათლა, ჩემს მოწაფეებს გზა შეუკრა, რომ თავი ეჩინათ სასცოვდებაში და მით გამხნევებულიყვნენ სწავლაში და მათი შემხედველნი სხვებიც აღმოჩენილ იყვნენ მსურველნი სწავლისა და ამ გვარად ქართული მუსიკა წინ

წაწეულიეო, მაგრამ არა, ბ. ცხვეთაძემ იკადრა აგენტობა ჩემგან მოსწავლეების გადაბირებისა უცხოელ რატომთან. მსურველთ და დირსთ გზა შეუკრა თა თავი ეჩინა საზოგადოებაში კონცერტში მონაწილეობით რა თქმა უნდა, მტრულმა ცხვეთაძის მოქმედებამ იქონია გავლენა და ჩამომაცალა მოსწავლენი. ჩემს ხანგრძლივ უსას უიდღოდ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება და დიდი სიდარიბე ვით მანე, მაგრამ მე მანუგეშებდა ჩემი შრომა და მისი ნაყოფი, რომელიც მინდოდა გამომექვეყნებია ჩემი მოწაფეების საშვალებით. ახლა კი ადარც მოსწავლენი, ადარც ის წვრილ შემოსავალი მოსწავლეებისაგან, რომლითაც ვსაზრდოებდი დრამებდა. ადარა მაქვს მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გვარ მტრობას ჩქარა მოელება ბოლო და ქართული მუსიკის საქმესაც კარგათ წავიეევან, მაგრამ ჯერჯერობით მოკლებული ვარ ყოველგვარ საშვალებას, ამისათვის სიმშილით და სიცივით სიკვდილს ვარჩიე მივმართო ქართველთა კეთმოყვარეობას და ვსთხოვოთ ნივთიერი დახმარება, რომ საქმე დავწყო და განვაგრძო ჩემი შრომა. ბევრი კარგი რამე მაქვს გამოსაქვეყნებელი, სხვათა შორის ქართული სამუსიკო მოკლე გრამატიკაც მაქვს გასათავებელი, ამისათვის მე თხოვნისა არა მრცხვენია და არც დირსების ვკარგავ მათ, რადგანაც ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩამაგდო არა ჩემის მხრით დამოკიდებულმა მიზეზმა, არამედ სულმოკლე ცილისწამებამ და მტრობამ.

ფილიმონ ქორიძე.

—

უმორჩილესათ გთხოვ ამ ჩემ წერილს დაუთმოთ ადგილი «მოგზაურის» ერთ მახლობელ ნომერში. რადგანაც დღემდის ზოგიერთი გარემოების გამო და აგრეთვე ჩემი ავადმყოფობის მიზეზით არ შემეძლო გადამეთვალიერებია თავის დროზე ყველა ნომრები «მოგზაურისა», ამიტომ ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემი წერილი დროს გადასულია, მაგრამ არ ძალმიძს ამის მიზეზით სრულიად უყურადღებოთ დავტოვო ის შენიშვნები, რომელიც რედაქციის წერილში მიცხრე №-შია, სადაც „ჟურნალ-გაზეთებიდან“ არის მოთავსებული რამდენიმე სიტყვები, რომელნიც შეეხებიან ცოტათ თუ ბევრათ ჩემს პირადობას. იმ ალაგს, სადაც ავტორი უსაყვედურებს ბ-ნს აკაკის მადლობის გადაუხდელობას შემოწირულების თაობაზე, ასეთი სიტყვებია მოყვანილი (მომყავს სიტყვა-სიტყვით). „ამას წინეთ აკაკის მუკდენიდან ათასი მანეთი მოუვიდა, ეს ფული მუკდენში შეუგროვებია ერთ ქართველ კაცს და სხვათა შორის თავისი წვლილი ოთხ ჩინელსაც მოუწოდებია. ბ-ნი აკაკიც ღირსეულათ აფასებს ამ ოთხი ჩინელის თანაგრძნობას, რაც მის სასარგებლოთ ფულის გამოღებაში გამოიხატა და დაძენს: «მეც მათ პატივის ცემას სამარეში თან ჩავიტანო». ასეთს ღრმა პატივისცემას უცხადებს პოეტი იმ კაცებს, რომლებმაც ვინ იცის რა საშვალებით და რა გზით შეიძინეს ის ფული, რომელიც ბ-ნ აკაკის გამოუგზავნეს. შეიძლება ის ფული ისეთი საშვალებითაა აღებული, რომ პატრონი კაცი იმას ხელსაც არ მოკიდებს და სხვ. მართალი უნდა ვთქვა, რომ ასეთი იერიში ბ-ნ ავტორს პირდაპირ ჩემზე მოეტანა და აგრეთვე სხვა ქართველ შემოწირულებაზე უფრო მიზნიანი იქნებოდა და საპასუხოც, მაგრამ საუბედუროთ ის ოთხი ჩინელი აუღია, რომელთაც ქონდათ უბედურება თავისი კაცთმოყვარეობა გამოეჩინათ და ამით დაემსახურებინათ „მოგზაურის“ რედაქციის კიცხვა მათ ზნეობაზე და რომელთაც ვის აქვს ძალა შესაფერი პასუხის გაცემია. რუსულათ არის ერთი ანდაზა, რომელიც ამბობს: **„скажи мнѣ, съ кѣмъ ты знакомъ и я скажу, кто ты таковъ“.** ამის და შესადარათ ის გამოდის ავტორის სიტყვებიდან, რომ თუ ჩინელების ფულს პატიოსანი კაცი ხელს არ მოკიდებდა, იქ შემთხვევაში ჩვენს შემოწირულებაზე უფრო ადრე ითქმის ეს და ეს ქართველი კაცები, რომელნიც ძალით თუ ნებით გადახვეწილნი თუ გაგზავნილები თავისი შრომით და ენერგიით ისეთ დაუყენებიათ თვისი საქმე, რომ ყოვლად ღირს სასურველია, რათა ვერ გაუტეხიათ მათი გული ვერაფერ ჰირს და ვარამს და არ მიეულიათ ის ელფერი, რაც სხვა ტომის გადაგზავნილებს ადენა შორეულ მხარეში; მათ არ შურთ როგორაც და რითაც შეუძლიათ დახმარება ამოუჩინონ თავის სამშობლოს და ან კერძო გამოჩენილ პირებს, რომელთა ნახვის იმედი მათ სამუდამოთ ამოუფხვრიათ გულიდან. და აი ამ ნაირ პირებს წაქეზების და გამხნევების მაგიერათ „მოგზაურის“ რედაქცია არა სასურველი სიტყვებით იხსენიებს. ამის შემდეგ რალა უნდა ვთქვათ თუ ჩვენ მრავალს ტანჯულს სამშობლოს, რომელსაც ეპირვება ყოველ ნაირი დახმარება, თუ ის შორწასულნი და ან საქართველოდან გასულნი ქართველნი არ გამოიჩენენ ჯეროვან სიყვარულს სამშობლოსადმი? ამისთვინ მეც უპასუხებ ბ-ნ ავტორს მისივე სიტყვით: მახლას!

ვლადიმირ თავართქილაძე.

—

რედაქციისაგან: ძლიერ ვწუხვართ, რომ ზევით მოყვანილ წერილის ავტორს, ბ-ნ ვლ. თავართქილაძეს, „მოგზაურის“ მეცხრე ნომერში მოთავსებულ შენიშვნის აზრი სულ სხვა ნაირათ გაუგია, ვითომც იქ ჩვენ მის პირადობას შევხებიყოთ და შეურაცხყოფა მიგვეყენებიოს. ჩვენი შენიშვნა მხოლოთ აკაკის მოქმედებას და მის საქციელს ეხებოდა, და არა სხვა ვისმე. ჩვენ არ შევხებივართ არც ერთ შემწირველის და მით უმეტეს არც ბ-ნ თავართქილაძის პირადობას, ვინაიდგან თვით აკაკიც ბ-ნ თავართქილაძეს სრულებით არ იხსენიებდა და მას არც მადლობას უცხადებდა; ბ-ნ აკაკის რომ ყველა შემომწირველებისათვის მადლობა გამოუცხადებია საზოგადოთ, ეჭვი არ არის, მაშინ ჩვენ შენიშვნას ალაგი არ ექნებოდა. არავისთვის საიდუმლოება არ არის, რომ ჩვენ პოეტს არც კერძო პირებიდან და არც საზოგადო დაწესებულებიდან შემწეობა და პატივისცემა არ აკლია, რასაკვირველია შედარებით, მაგრამ როდის იყო, რომ აკაკი ვისიმე მადლიერი იყო. პირიქით, როგორც მწერლობაში საჯაროთ, ისე კერძო ლაპარაკში, იგი მუდამ ჟამ იმას გაიძახის, რომ მას ყველა დევნის, არავინ მის ღვაწლს არ აფასებს, რომ იგი, ერთი სიტყვით საზოგადოებრივი უსამართლობის და უმადლობის მსხვერპლია, დატანჯული და დასჯილი. და აი როცა ბ-ნი აკაკი ოთხ ჩინელს მადლობას და ღრმა პატივის-

ცემას უცხადებდა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელებმა მას თავისი შეწირულება გამოუგზავნეს. ამით ეგი თითქო ქართველ საზოგადოებას ეუბნებოდა: აი თქვე უმადურებო თქვენა! დახეთ, როგორ მაფასებენ მე ჩინელებიც კი, და თქვენ როგორი გულ-გრილობით მექცევით! თქვენს ადგილას რომ ჩინელები იყვენ, მე აქამდის ოქროს კოშკს ამიგდებენო! ეჭვი არ არის, რომ როცა ბ-ნ აკაკის ოთხი ჩინელის პატივისცემა სამარეში მიჰყონდა, ამით იგი დიდ უკმაყოფილებას უცხადებდა ქართველ საზოგადოებას. რედაქციასაც თავის შენიშვნაში მხოლოთ ამ ყალბი გარემოების აღნიშვნა სურდა და მკითხველს ამაზე უთითებდა. მას სრულებით შემწირველთა ყოფა-ქცევა და ზნეობრივი მხარე არ ჰქონია მხედველობაში, და მით უმეტეს არც ერთი მათგანისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მართალია, რედაქციის შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ «შეიძლება ის ფული ისეთი საშუალებითაა აღებული, რომ პატიოსანი კაცი იმას ხელსაც არ მოკიდებსო», მაგრამ ამ სიტყვებით ჩვენ იმის გამოთქმა გვინდოდა, თუ რამდენათ უხერხულია ფულის გულისთვის ღრმა პატივის ცემის გამოცხადება ისეთ პირების მიმართ, რომლების მოღვაწეობას კაცი სრულებით ვერ იცნობს. ბ-ნი თავართქილაძე, ეჭვი არ არის, დაგვეთანხმება იმაში, რომ ყველა ქველმომქმედი ერთნაირი ზნეობის არ არის, და ამიტომ არც ყველა ქველმომქმედი ერთნაირი პატივისცემის ღირსია. ბ-ნი თავართქილაძე უეჭველათ იმაშიაც დაგვეთანხმება, რომ ზოგიერთი არათუ პატივისცემის ღირსი არ არის, არამედ იმის ქველმოქმედება მარტო ზიზღს უნდა იწვევდეს. ჩვენ სრულებით იმას არ ვამტკიცებდით, რომ სწორედ ასეთები იყვენ ის ოთხი ჩინელი; ჩვენ მხოლოთ იმის აღნიშვნა გვინდოდა რომ ბ-ნ აკაკი ისეთ კაცებს უცხადებდა ღრმა პატივისცემას, რომლებსაც იგი არ იცნობდა და არც შეეძლო ეცნოდა. ადვილათ შესაძლებელია, რომ ის ოთხი ჩინელი მართლაც დიდათ პატიოსანი კაცები არიან, მაგრამ საქმე მოითხოვდა, რომ აკაკი უფრო ფთხილათ მოქცეულიყო. ზევით ნათქვამიდან მკითხველი ადვილათ დაინახავს, თუ რამდენათ უადგილოა ბ-ნ ვლ. თავართქილაძის საყვედური, რომ ვითომც ჩვენ, იმის მაგივრათ, რომ ვაქებდეთ და ვამხნევებდეთ სამშობლოსაგან გადახვეწილ პირებს საქველ-მოქმედო საქმეში, იმათ არა სასურველ სიტყვებით ვიხსენიებთ. და მართლაც, განა ჩვენ შენიშვნაში ჩვენ ვაცხადებთ ქველ-მოქმედებას საზოგადოთ? ვფიქრობთ, რომ არა.

მთავრობის განცხადება.

გაზ. „კავკაზ“-ში (№ 224) დაბეჭდილია შემდეგი განცხადება კავკასიის ნამესტნიკის მიერ ხელმოწერილი:

კავკასის მცხოვრებთა მიმართ.

უკანასკნელ წლებში კავკასიაში, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში დაარსდა მრავალი წრე საიდუმლო პარტიებისა და საზოგადოებისა, რომელნიც თავიანთი მიზნით და მოქმედებით ერთმანეთში განირჩევიან, მაგრამ ყველა ისინი ცდილობდენ არა ლეგალურ ბრძოლით შეეცვალათ სახელმწიფოს არსებული წესწყობილება.

ეს პარტიები, საზოგადოებანი და წრეები ქმნიდენ მცხოვრებთა შორის და იარაღათ ხმარობდენ იმ საშუალებას, რომლებთაც შესაფერი ნიადაგი ჰქონდათ.

მაგალითათ, მუშათა შორის პროპაგანდას წევდენ ქარის მომატების და საზოგადო მუშათა მდგომარეობის ნიადაგზე; გლეხებს უთითებდენ მათ გაჭირვებულ ცხოვრებაზე და სხვა და სხვა დაპირებით შეცდომაში შეყავთ, მაგალითათ, კერძო საკუთრება გაუქმდება, მიწები მემამულეებს წაერთმევათო და სხვა.

პროპაგანდის უმთავრესს იარაღათ ისინი ხმარობდენ შემდეგ ხერხს: მცხოვრებთ არწმუნებდენ, რომ ხალხმა თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რადგან მათი საჭიროებანი მთავრობამ არ იცის და ხელმწიფესაც არას აგებინებენო.

იაპონიასთან ომმა, რომელმაც ამდენი მსხვერპლი შეიწირა, ეჭვი არაა, ხელი შეუწყო საიდუმლო საზოგადოებათა მოქმედებას.

ამ გვარათ აგიტაციის შედეგს ჩვენ კარგათ ვხედავთ, მისი დაფასება შეუძლიან ყველას, მუშასაც და გლეხსაც: ოდესღაც აყვავებული ბათუმი, რომელიც თავისი ფართო ვაჭრობით და ქარხნებით ლუკმა პურს აძლევდა რამდენსამე ათასს მუშას, დღეს დაიღუპა; ქარხნებმა მუშაობა შეწყვიტეს და მექარხნეებს მოქმედება უცხო ქვეყნებში გადააქვთ; ბაქოს ნავთის მრეწველობა დაეცა: აგიტაციით გატაცებულმა სოფლის გლეხებმა, იმის მაგივრათ რომ მშვიდობიანათ ეშრომნათ, ჭემამულეთა სახლების ცარცვას ხელი მიყვეს, თავის ნებით სხვისი მიწები დახნეს და მემამულეებს აღარაფერს აძლევენ.

ძარცვა-გლეჯითა და მემამულეთა ოჯახების დაქცევით, გლეხები არ გამდიდრებულან; სამაგიეროთ მათ მოაკლდათ ის, რასაც თავიანთი შრომით იძენდნენ და ბოლოს ყველანაირი ზარალიც მათ გადახდებათ. ხშირი გაფიცვებით ვერც მუშებმა შეიძინეს რაჰე: იმის მაგიეროთ რომ ქარხნის ფასი მოემატებოდათ, მრავალი ქარხანა დაიხურა და ამით ლუკმა პური მოაკლდათ. კარზე დარჩენილი აუარებელი მუშა მოედო სოფლებსა და ქალაქებს და შიმშილით გამწარებული, იძულებულია ძარცვა-გლეჯას მიყოს ხელი. ამასთან საპყრობილეები ივსება, ოჯახებს მარჩენალი აკლდება და სისხლი, რომელიც სამშობლოს დასაცველათ მტერთან ბრძოლაში უნდა ღვრებოდეს, ტყუილ უბრალოდ იქცევა, საიდუმლო აგიტაციას მსხვერპლათ მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები ეწირება.

6 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულია მთელი იმპერიის მცხოვრებნი, რომელთა წარმომადგენელნიც სახელმწიფო სათათბიროში კანონების შესადგენათ მუდმივ მონაწილეობას მიიღებენ.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 17-го Сентября 1905 г.

სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი ბომხ. სას. სემ.